ვასილ პრიორიძე

ჰბი ყმა

ალმანახი „*ჩემი ჰობი პოეზიაა*“.
მე- 12 ნომრის სპეციალური
გამოშვება

თბილისი 2017

UDC(უაკ)821.353.1(051.2)
ჩ - 433

რედაქტორ-გამომცემელი
ლერი ნოზაძე

ISSN 1987-9261

ვასილ ამირიძე

დაიბადა 1933წლის პირველ მაისს, დუშეთის რაიონის ამირთკარში (რომელსაც დღეს ამირნი ჰქვია). 1952 წელს დაამთავრა ფასანაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1957 წელს დაამთავრა და განაწილებით მუშაობა დაიწყო გორის რაიონში, - ტყვიავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში(მტს). მტს - ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რაიონის ხელმძღვანელობის მიერ გადაყვანილ იქნა ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად, საიდანაც პირადი განცხადებით წავიდა 1964 წელს და რ/გ „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალურ აპარატში დაიწყო მუშაობა. მან ამ სისტემის ორგანიზაციებში ჯერ განყოფილების უფროსად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ იმუშავა 1993 წლამდე - პენსიაში გასვლამდე. 1996 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი იყო, ხოლო ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ 2012 წელს განთავისუფლდა პირადი განცხადებით.

გიხაროდენ

გიხაროდენ, გათენდება დილა,
მზე ბრდღვიალა აენთება ცაზე,
ზეცის კარი გაიღება ფრთხილად
ტოროლების მოწკრიალე ხმაზე.
ქურდზე ფრთხილად მოარული სიო
მთვლემარ კორდებს გადაჰკოცნის ცვრიანს,
უღრან ტყეში გამოძებნის ღიობს
ძილს დაუფრთხობს ცისფერთვალა იას.
ნაზ ტალღებად დაიღვრება ტყიდან
მგალობელთა ღაღადისი დილის,
არე-მარეს მოედება ტკბილად
ღვთის დიდებად ჰიმნი აღვლენილი!
ამღერდება ჩემი მთა და ბარი
მოზეიმე ვინ დათვალოს ფერი?
აქ ტრიალებს დღეს მეუფის თვალი
ცას შეხარის მშობლიური ჭერი.

3 მაისი,.1995

* * *

თენდება კავკასიონზე,
ლუხუმი ფეხზე დამდგარა,
აპირებს ლაშარის გორზე
მზეს დაელოდოს ცხრათვალას.

მარტი. 1990 .

* * *

ზ. გ-ს

ტანჯული ქვეყნის თავკაცად ყოფნა
სურვილი იყო, თუ - ბედისწერა?
ხომ არა სჯობდა მუზების ღმერთთან
მეგობრობა და ლექსების წერა?

ღვინობისთვე, 1990.

* * *

დრო იყო მეფევ,
ივერთ ქვეყნის ვეზირ-ნაზირნო,
უკუ იხედოთ,
ნაღვაწს თქვენსას უსწოროთ თვალი,
მშობელი მიწის დასაჯიჯგნად
დიდად გარჯილნო,
გჯეროდეთ მოგთხრით
სამარიდან შთამომავალი.

ვარდობისთვე, 1994.

* * *

მამულისათვის თავგამწირველნი,
მშობელ მიწაზე კვლავაც დადიან,
ამრავლე ღმერთო, კაცნი ქართველნი
შესადარებნი ცოტნე დადიანს.

ქრისტეშობისთვის -7 1998.

* * *

ხმა მეკითხება: ვინა ხარ?
ვპასუხობ იქვე, წამსვე,
კაენის შთამომავალი
მასავით ცოდვით სავსე

2 ნოემბერი. 1196.

ქარ-წვიმით გაბეზრებულმა
ვთქვი:

ჩრდილოეთური, ხან სამხრეთული
გაავებული ქრიან ქარები,
ქანაობს ჩემი მეცხრე სართული,
ჭრიჭინებს, კვნესის სახლის კარები...

გიორგობის თვის 7, 1999.

* * *

არ დაიღალე ამინდო
ამდენი წვიმით, ქარითა?
წვიმავ, ჭერიდან არ მინდობ,
ქარო, მოძვრები კარიდან....

გიორგობისთვის 22, 1999.

* * *

ცხელა, მდუღარე ღამეა.
ვუსმენ ჭრიჭინას ჭრიჭინს,
ჩემსავით იქნებ იმასაც
სცხელა და რამე უჭირს?

მკათათვის 12, 1997 .

შ. რ – ის დედას

მზის შესადარო ცაზე
ივერთ დიდების დედავ,
მგოსანნი დგანან განზე,
მიტომ ვერსადა გხედავ...

ვარდობისთვე, 1987, ს. ამირნი

* * *

მე კარგად ვიცი ძამია –
სიცოცხლე ერთი წამია.
სიკვდილი ერთი ჩქამია,
მასთან არა სჭრის ქრთამია.

აპრილი, 1988წ.

მ. ბ – ს

თვალები გიგავს კრიალა ზეცას
სახე თოვლია ფიფქდანაყარი,
შენი ქორწილის დამსწრე მქმნა მეცა,

ოღონდ არ მერქვას სხვისებრ მაყარი!...

თიბათვის 14, 1970.

დრო

წამი - წამს, წუთი – წუთსა ჰკლავს.
საათს სულსა ჰხდის საათი,
ღამეს – დღე, კვირას – კვირა და
თვე – თვეს მიჰყვება ტაატით.

წელი – წელსა ცვლის მარადის.
საუკუნენი ქრებიან,
ათასი წლებიც და მიჯრით
მილიონები დნებიან.

არა და არა! – არ მჯერა
მტკიცედ მწამს, არ ვარ ტყიური,
დრო კაცმა გამოიგონა,
დრო არ არსებობს ღვთიური!

დრო არ არსებობს! – ცხოვრებამ
კაცს დროის პოვნა ასწავლა,
ვიდრე წამამდე ჩავიდა
ქანცგაწყვეტამდე აწვალა.

დრო არსებობსო მიმტკიცოს,
ნუ შეეცდება მავანი,
ვერ დამარწმუნებს, თუნდ თავზე
დამამხოს ზეცის თავანი....

თებერვალი 1985 .

* * *

კრწანისში დღესაც ატყვია
არაგველთ ცხენთა ნატორი,
დუმილი მათზე ვერ შემიტყვია
" ხმელი წიფელი" – ს ავტორის....

ღვინობისთვე, 1988, ს. ამირნი

ცათა შინ

ცათა შინ, ცთომილთ მსუსხავ ციმციმში,
ირმის ნახტომის რომ კრთება კვალი,
იქეთ, უფრო შორს, - ლაჟვარდთ მიღმეთში
სადაც გონების ვერ აღწევს თვალი,
იქ სუფევს ვრცელი კოსმოსის მეფე
მამაღმერთი და ჩვენი უფალი.

იქ წყდება ყველა ცოცხალის ბედი,
დაიწყოს სად და შეჩერდეს როდის,
ბედნიერებაც, საბაბიც სევდის
განგების ნებით კოსმოსით მოდის.

ბოლოს უკლებლივ წილი ვართ მიწის,
სულს სად გაგზავნის ნებაა ღვთისა,
ადამის მოდგმამ დღემდე არ იცის
სულეთს ყოფნა სჯობს, თუ ცქერა მზისა?

მარტი, 1988 წ.

* * *

ქრისტეშობისთვის ოცდათერთმეტი
ოთხმოცდათექვსმეტი წლის,
სამშაბათია, წელი მთავრდება.
საათი წუთებს თვლის....

სიცოცხლეს კიდევ წელი წაჰგვარა
გარდუვალობამ ღვთის,
წუთისოფელი უფრო დამოკლდა,
გარეთ ჰყინავს და ქრის...
გემუდარები დედავ, უფლისა,
გაძლება მოგვეც კლდის,
გადაგვარჩინე ივერთა მოდგმა,
გულად ნუ გაგვხდი მტრის...
... და დაგვიყენე წელი ახალი
შრომის, წინსვლის და ცდის,
ქართველნი ერთურთს გულში ვიკრავდეთ
შვილნი ბარის და მთის....

ნიკას

(ჩემს პირველ და ....
ცად გაფრენილ შვილიშვილს)

შენი ამ ქვეყნად მოსვლით
ცხრა მზე ამენთო ცაზე.
ცხრავე ჩამიქრა წასვლით,
ჭერი დამემხო თავზე.
ელვად გამკრთალო სიცოცხლევ,
იავ, უღრანი ტყის,
შენი ღვთიური ღიმილი
გულზე იარად მჭირს.

მუდმივ ტკივილად დამრჩალო
ჩემო პაწია ნიკუშა,
რამდენი ტკბილი ოცნება
ჩემი, განგებამ ჩაფუშა!
ჩვენთვის გამრუდდა ზეცის

ყველა წესი და გათვლა,
შვილიშვილსა და პაპას
ბედმა არ გაგვიმართლა.

დასტაქართან წასვლის დილით
ფანჯარაზე დაჯდა მტრედი,
კუპრივით შავი ბოლოთი
მაცნე ულმობელი ხვედრის.
თეთრმა მტრედმა უფლის ნებით
შენ გაახლა თეთრი ფრთები,
ცაში, სულთა საუფლოში
ასაფრენად, - ახლა ვხვდები.
შავი ბოლო მე მიბოძა
მრუმე ფიქრთა საწინდარი,
დღემდე დარდის ნისლი მბურავს,
აღარ მითენდება დარი ....

გიორგობის თვის 7, 1998 .

ილია ჭავჭავაძეს

" ენა, მამული, სარწმუნოება"
ღვთის ლოცვასავით გულზე გეწერა,
სამივეს ზეიმს დიდო თავადო,
არ მოსწრებოდი, - ბედით ეწერა.
სადღაც ზურგს უკან, ივერთა მტერთა
სერობა ბნელი შედგა ფარული,
იქ განაჩინეს შენ და ქვეყანას
არ დაგდგომოდათ დღე სიხარულის.
არც დააყოვნა სატანამ შავმა,-
სიცოცხლის ალამს, დაბლა დასწია.

სულგაყიდულმა "ძმამ" წიწამურში
მეფის ტოლს ზურგში ტყვია დაგწია ...
ასე დაენთო სიცოცხლე სანთლად
საკურთხეველზე ადგილის დედის,
კავკასიონზე "აჩრდილად" დადეგ –
" მარად თანმდევი ქართვლის სვე-ბედის."

მკათათვის 19, 1986.

ღმერთო!

(ვედრება)
სამი დავანთე ქვეყნად ჩემი
ყოფნის სანთელი,
ნურც ერთს უდროოდ ნუ ჩამიქრობ
გემუდარები,
უბოძე მონათ, გული წრფელი,
სული ჯანმრთელი,
და შენს მორჩილად, ცათა შინა
მმზერი თვალები....
17თებერვალი,1977

* * *

ბასილ მელიქიშვილს

ღირს ქართველთ შორის ცის საუფლოში,
მწამს, შენც გადგია უფლის ნათელი,
აქ კი, შენს მშობელ ივერთ მთა-ბარში,
მარად გენთება ხსოვნის სანთელი
16სექტემბერი. 1988. ამირნი.

* * *

კაცთა მოდგმიდან კითხვის პასუხს ვერვინ მიაგნოს,
თუნდ გადაქექოს ყველა ბრძენის ნაღვაწი სრული,
დედამიწაზე სიცოცხლეა მარადიული?
თუ უფლის ნებით უდევს მიჯნა, აქვს დასასრული?
თიბათვის 10, 2002

* * *

ამ ქვეყნის სტუმრად მშობა განგებამ,
შრომის, სიკეთის საქმეთა ქმნადა,
მართლმადიდებელს წინ მიძღვის რწმენა,
მართალთ გზითა ვვლო წასვლამდე ცადა.
16 აპრილი 1978

* * *

ბედნიერია ქართველი
სიცოცხლის მწუხრში მთქმელი,
შრომით და გარჯით გავლიე
წუთისოფელი მთელი,
ხალისიანი ღიმილით
ვხვდებოდი ყველა დილას,
მუდამ ვიცავდი ათ მცნებას
სახარებაში მბრწყინავს.
ვერიდებოდი ავ საქმეს,
გაუტანლობას, ღალატს,
არა ქურდობით, - შრომით
ვქმნიდი ოჯახში დოვლათს.
ვუშვებდი ალბათ შეცდომებს
ჩემს უნებურად უღირსს,
შემოგღაღადებ გამჩენო
შემინდო უგნურს, უვიცს...
10იანვარი 20 05

* * *

სამშობლოვ ჩემო, შენს მწარე ხვედრზე

თითო-ოროლა თუ ფიქრობს მხოლოდ,
ქვეყნის დაქცევას, ხალხის წამებას,
არა და არა , არ უჩანს ბოლო.
ურჯულო, რუსი, სომეხი, ოსი,
ივერთ სამკვიდროს კვლავაცა გლეჯენ
უთაო თავკაცთ – ცვედანთა გამო,
ჩვენს მთა-ჭალაში მომავალს სჭედენ.
გამოგვაღვიძო იქნებ, გამჩენო,
აღმაშენებელს მივბაძოთ დავითს,
საქვეყნო საქმე წინ გავიძღოლოთ,
საბაბი მოვსპოთ ძმობაში დავის...
ავის მსურველთა რისხვად ავმაღლდეთ,
ერთი აზრი და მიზანი გვიძღვენ,
მტერი მოვსრათ და ... მადლიერებით
მზერა მოვმართოთ მეუფევ, - ცისკენ...
03აპრილი 20 04

* * *

ოცდასამი ნოემბერი
გიორგობა დღე,
ირგვლივ სუსხის ზეიმია
თოვლი ჰფარავს მთებს.
გიორგობა, გიორგობა!
რა საამოდ ჟღერს.
დიდ წინაპარს, დიდმოწამეს,
განვადიდებთ დღეს.
ჩვენს დიდ მფარველს
წმინდა სანთლით,
შევავედრებ ერს,
საქართველოს მზეს და ზეცას,
შემდგომ ოჯახს ჩემს... 23. 11. 87

* * *

აპრილის თვეა, წყნარი საღამო,
თვალი მოვავლე სივრცეებს ზეცის,
ჩემს უნებურად პირჯვარს ვიწერ და -
ტანს ჟრჟოლის ცივი პერანგი მეცმის.
ღმერთო ძლიერო! – რა ნათებაა?
თითქოს კუდი აქვს უჩინარ ცთომილს,
გამუდმებული სხივთა ფრქვევაა,
შუქურასა ჰგავს ცაში ატყორცნილს.
ამით რას გვამცნობ უზენაესო?
რა გველოდება, ლხინი თუ ურვა?
აკმარე ცრემლი ივერთა მოდგმას
და ნუ მოაკლებ ჩვენს დუშმანს ჭმუნვას.

27. აპრილი. 97

კარგი მეზობლის პაწია ასულს

ოცნებების სამეფოში
მოფარფატე ფერიავ,
შენი გული და გონება
დღეს სიხარულს მღერიან,

კეთილმა და ბედნიერმა
სულ იხარე, იფრინე
ჩვენო ციცქნა ანგელოზო
სომხიშვილო ირინე.

26ნოემბერი 1997

ჩემს შვილებს

მსურს გამუდმებით თქვენში ჰყვაოდეს
გულკეთილობის ყვავილი წმინდა,
ყოველდღიური შრომით და გარჯით,
ირგვლივ სიკეთეს სთესავდეთ მინდა.

არ მოგკლებოდეთ ლუკმა ალალი,
არც გეოცნებოთ იყოთ მდიდარი,
რადგან საწუთრო არს წარმავალი
ვითარცა ტალღა ლაღი მდინარის.
დალახეთ ისე ამ ქვეყნის გზები,
მშობლის აუგი არავინ გკადროთ,
რომ სამარეში არ გადავბრუნდეთ
თქვენი უღირსი ნაბიჯის გამო.
იხარეთ მარად, - და ათი მცნების
თუ შეძლებთ დაცვას წმინდა წერილის –
შთამომავლობას თქვენსას, მერწმუნეთ,
გვერდით ჩაუვლის დასმა წერტილის....

ნივნისი 2002

დედის კარნახით ჩაწერილი
ხალხური ლექსი წისქვილზე

სათავით მოკიდებული,
ღარ – ბორბალზე წყალი დისა,
ვინც კი იქ საფქვავს მიიტანს,
ქრისტე ხელით დააყრისა.
აეფეთნენ ეშმაკები:
რა გაგიხდა ეგრე ფქვითა?
მაგ წისქვილს ჩვენ გაგიმართავთ
თუ ჩაგვიდებ ცოტას წილსა.
გაუმართეს ჯერ ბოძები,
ზედ შედგეს ხვიმირი ხისა,
მასზე ნავი ჩამოაბეს
მაღლით მოუკიდეს კრინტა,
სარეკელაც ჩამოჰკიდეს
თითო – თითოს ჩამოსთვლისა.
- ვინც წისქვილში ქურდობა ქნას

ფქვილი მოიპაროს სხვისა,
იმის სული ეშმაკს ჰქონდეს
მანამ ქრისტე წაიქცესა.

მარიამობის 16. 1964 .

ჩემს ორეულს (სარკეში)

რაღასა ეჭვობ? – სინამდვილეა,
შემოგაჭამა დრო – ჟამმა წლები,
ჩამოგიძონძა ყელი, მკლავები,
ჩონჩხად გაქცია, დაგტოვა ძვლები.
ჯანმრთელობასაც დაუნდობელმა –
შემოუტია სენმა ფარულად,
გიკვნესის გული, არ შეგწევს ძალა
ნაბიჯი გადგა წინ გაბედულად.
თავს თმა გაგცვივდა, კბილები გაცვდა,
რაც მგლებს გადურჩა, - უვარგისია,
ნუთუ ვერ ხვდები შე კაი კაცო,
რომ დასასრულის დასაწყისია?
რისი იმედი, რისი ხვალის დღე,
სიბერემ მყრალმა დაგრია ხელი,
დიდი ელდაა, მაგრამ რას იზამ?
ეს ხვედრი მარტო არაა შენი.
ნაგვიანები გღრღნიან ფიქრები,
რამეს მიაგნონ, - არა მგონია,
გაღმა გასვლის დრო გიახლოვდება,
მოხდება ის, რაც მოსახდენია.
უკან მოხედვით ოხვრა დაგცდება,
სანუგეშებელს დიდს ვერას ხედავ.
" – შვილო, სიკვდილი ნუ შეგაშინებთ,
ღვთის ვალიაო " , - გეტყოდა დედა.
ასეა დღემდე, მოსვლაა ღვთისგან,
წასვლას განაგებს სიკვდილის ღმერთი;
ღატაკის, მდიდრის, ხელმწიფის ქველის,

იმ ქვეყნის გზაა ყველასთვის ერთი.
იქ რას გვიქადის ჩვენი გამჩენი,
კაცთაგან მცოდნე აქ არვინ არის,
ცრემლი? მუდარა? ქრთამის შეძლევა?
სიკვდილი ყრუა, არ უსმენს არვის...

17თებერვალი 20 04

* * *

მთაში ვარ დაბადებული
თეთრი არაგვის პირადა,
ჩემი მთა – ბარის პატრონი
აბჯარს ავიყრი ძვირადა.
სოფელს მიქვიან ამირნი,
ამირიძე ვარ ძირადა,
თავს ვანაცვალებ ფუძე – კარს
სოფელს შევრჩები გმირადა...

ვარდობისთვის 10. 1979.

* * *

ძველად, მთიულეთში, არსებული წესით თუ მონადირე ას ნადირს მოჰკლავდა, სამი დღით თოფს მიწაში მარხავდა. გადმოცემით, ხელა ამირიძეს სამჯერ დაუმარხავს თოფი. მისდამი მიძღვნილი ლექსიდან დღეისათვის ერთი სტროფია შემორჩენილი.

" ეგ ამირიძე ხელაო
ეგრე რამ გაახელაო,
მთაში გასწყვიტა ნადირი,
ბარშიც ვეღარსად ვხელაო[1] "

მე დავბრუნდები

[1] კუთხურია, ნიშნავს: ვპოულობ.

სიცოცხლე მწარე, წამებული
და ცრემლიანი,
თუ ბედნიერი, სიხარულით
ცამდე ასული,
მთავრდება ყველა: უიღბლოა
თუ იღბლიანი,
კანონს მორჩილებს
დასაწყისის და დასასრულის.
ეს გარდუვალი ცნობილია
და ყველამ ვიცით,
დაბრუნებულიც იმ ქვეყნიდან
არვის უნახავს.
მაგრამ რადა მწამს? – ჩემთვის
უკან დასაბრუნებლად,
გამჩენი ერთ წვრილ ბილიკს
რომ მომინახავს?

18ნოემბერი 1999

სამშობლოვ!

მარად ტანჯულო, გვემულო,
ავნი დაგქრიან სიონი,
აღარ გეღირსა პატრონი
რომ შეკრთეს კავკასიონი.
თუმც წინ გიძღვიან გაქნილი
პოლიტიკური ჩარჩები,
მაგ უნდილ-ვერაგთ საჯიჯგნად
ნეტა როდემდე დარჩები?!
მათ დაგაკნინეს, გათელეს
შენი ღირსება, ქველობა,
მათითა ზეობს სიცრუე,
არაკაცობის ხელობა...

09ივნისი. 93

* * *

" თეთრი არწივი" – რაზმია,
" შავი არწივი" – ფირმაა,
" ოქროს არწივი" – პრიზია,
ნაღდი არწივი სადღაა?
ნაღდი არწივი ცაშია,
ცათა სივრცეთა მფლობელი,
ის მუდამ იმის ცდაშია
იყოს თვალმიუწვდომელი.

17მარტი 19 93

70

სამოცდაათი, - ვამბობ და ხმაში
შიში ზარს რეკავს, ფითრდება სახე,
მთელი სიცოცხლე, - სულის მოთქმაშიც
ველოდი მწიფეს, ცვიოდა მკვახე.
სამოცდაათი წელიწადი დარჩა ზურგს უკან.
სამოცდაათჯერ ბრდღვიალა მზეს შემოვუარე,
მაქვს სევდიანი საუბრები გარდასულ წლებთან,
ალბათ სიბერეც შემახვედრებს დღეებს უარესს.
ფარულად, მალვით, სიცოცხლის დღენი
და ჯანმრთელობა გამიდგნენ განზე,
ვხვდები სრულდება სტუმრობა აქეთ,
დროა ვიფიქრო გაღმა გასვლაზე.
ვიცი ღვთის ნება ცისკარს გამიღებს,
უფლის ანგელოზს უკან გავყვები.
მიწამ გამზარდა? – მიწა მიმიღებს,
სული ვიცოცხლებ, ცად ავყვავდები.

20 მაისი 20 03

ვნანობ...

ღმერთის წინაშე უპირველესად,
მერე კი შენთან ვარ დამნაშავე,
საქციელს ჩემსას მსჯავრი უფლისა
ვიცი გაკიცხავს და გააშავებს.
ვერ გითამამე ბავშვობის წლები,
ნურც მომიტევებ, არა ვარ ღირსი,
ვნანობ როს შენზე ფიქრებს მივყვები
და ტალახს მესვრის ჩემი სინდისი;
ღმერთმა დამსაჯა თუ ბედისწერამ,
ამ საიდუმლოს ვერ შევხსენ კარი,
ბევრჯერ ამ ფიქრში მზე დაეწვერა,
წამწამებს ბევრჯერ ჰკოცნიდა ცვარი.
ასეა, ზეცის გარდუვალობას
მარად მორჩილებს არსი ყოველი,
დღეს აუხდენელ ოცნებებს შენზე
ხვალის იმედით მაინც მოველი.
გფარავდეს მუდამ წმინდა სამება,
უფლის მშობელიც – წმინდა მარიამ,
ჯანმრთელობა და ბედნიერება
ზეცამ გიბოძოს შვილო მაია!

05აპრილი 19 88.

რუსთაველს

შენ მოციმციმე კი არა
მოკაშკაშე ხარ ცაზე,
კაცობრიობის მგოსნების
მზისებრ დამცქერი თავზე.

10 თებერვალი 1987

ვაჟას

გიმზერ ილიას "აჩრდილ-"ის გვერდით,
ღმერთთან საუბრობ თავდახრით მდგარი,
"კარგო ყმავ", - შვილო ამაყი მთების,
შენი ადგილი სხვაგან არ არის.

ვაჟაობა – 84

ე. შ – ს

გველი ხარ, გველის სიბრძნით სრიალებ,
შხამს და გესლს მალავ ღიმილში გველის,
მაგრამ რადა მწამს? – სიცოცხლის მწუხრში -
ხალხის რისხვა და განკიცხვა გელის!

12მარტი 1994

კაი ყმა

ენას, მამულს და სარწმუნოებას,
სიცოცხლე მთელი ვინც ანაცვალა,
ადგილის დედის საკურთხეველზე
დაიწვა, ფეხი არ მოიცვალა.
მწუხარებაში მოყვასს ემოყვრა,
უპოვართ თავის ლუკმა უწილა,
არ იპარა და რაც კი ებადა
სულ ქვრივთ და ობოლთ გაუნაწილა.

22ივნისი 06

* * *

საქართველოში
ისევ ზეობს ავი ტაროსი.
ქვეყნის თავკაცებს
ხალხისათვის კვლავ არ სცალიათ,
ჰყვავის ცხოვრება

შუბლს მურწასმულ ქართველებისა
ივერთ ქვეყანა
სათლელ დუმად რომ უქცევიათ.
18აპრილი 04

ილია

ცას მიბჯენილი კავკასიონით
ქართვლს გადმოჰყურებს დიდი "აჩრდილი":
და უგვირგვინო მეფე ქართვლისა –
ცას შეჰღაღადებს ხელებაწვდილი:
- უბოძე ღმერთო, თავგზააბნეულ
ჩემს მკვლელ ერს გონი, ძალა, უნარი,
მტერი მოსრას და ზეცას შეასკდეს,
ივერთ ვაშა და ხმა დედო ზარის.
სული მოითქვას ქართლოსის მოდგმამ
ერთ აზრს ჰმონებდეს ერი და ბერი,
და, უფლის მშობლის წილხვედრ მიწაზე
არ ბოგინობდეს აღარსად მტერი..
07ივლისი 20 02

* * *

გონებას ღრღნიან
სევდიანი ფიქრთა ტევრები.
ცოდვა უზომო
კისრად მადევს, იცი უფალო,
მონანიების მომანიჭე
ნიჭი გევედრები,
იმ ქვეყნის კარში შევაბიჯო
უხმლო, უფარომ....
გიორგობისთვის 6. 2006

თანაკურსელი მეგობრის

ანზორ ბაქრაძის ხსოვნას

მეგობრების მხარზე დაყრდნობილო,
მზე ბრდღვიალა სხივებს გაყრის თავს.
გლოვის ცრემლით სახედანამულო,
მიუყვები უკანასკნელ გზას.
ელვად გაკრთა ანზორ შენი სიცოცხლე,
წახვედი და მიძნელდება თქმა.
მე აგინთე სამი წმინდა სანთელი
და მივაკარ შენი ხსოვნის ქვას.
შენ საფლავთან მოვდივარ და მესმის
გარდასული საუბრები ჩვენი;
" თუ სიმართლეს არ ვამბობ და ვტყუი
შენ ასწიე ვასო კუბო ჩემი."
რად დამსაჯე, დავაშავე რამე?
რა დავაკლე მეგობრობას ჩვენსას?...
ვერასოდეს ვერ მოისმენ, ვიცი
ამ ფიქრებით გულშეძრულის კვნესას.
იმედად ჩანს შვების გზაზე ჩემი
მშობელ მიწას ჩახუტება ბოლოს,
მეც საფლავის გზას მოვყვები შენსკენ,
როდის მოვალ, ის არ ვიცი მხოლოდ.

მკათათვე 1966, თბილისი

* * *

"საქართველო იყიდებაო ' – '"
უთქვამს ლორთქიფანიძე ნიკოს.
"სულ გაუყიდიათო" – იტყოდა
დღეს რომ ცოცხალი იყოს.

12მარტი 20 05

ჩემი სოფლის შემოდგომა

ცა დამყურებს მოციმციმე
ვარსკვლავებით მოჭედილი.
ხვალ სისხამზე სიო ცივი
მომაგებებს მსუსხავ ღიმილს.
ღვინობისთვის ზეიმია
მსუყედ სუნთქავს არე-მარე.
ღამით ხეებს დახუნძლულებს
ეფერება ბაღში მთვარე.
სოფლის მკვიდრი ქალი, კაცი,
მოხუცია თუ ბავშვია,
რიჟრაჟიდან სიბნელემდე
ყველა შრომის ფერხულშია.
მთაში თივა მოაგულეს[2]
თავმომწონედ მწკრივად დგანან,
თოვლს დადებს და პირუტყვისთვის
შეძლებენ შინ ჩამოტანას.
მოთხრილია კარტოფილი,
შეშა არის მოტანილი,
ლობიოა აღებული,
კაკლებია დაბერტყილი.
შემკრთალია მთა და ბარი,
ნაღველს ფრთები გაუშლია,
მერცხლები გზას გაჰყოლიან
მათ წესი არ მოუშლიათ.
აღარ გალობს შავი შაშვი,
არ წკრიალებს ღობემძვრალა,
ვერ შეავლებ თვალს ნიბლიას,
ბეღურები მთლად გამქრალან?
უფლის ფუნჯით მოხატული
ყვითელ ფერად ტყე ელვარებს,

[2] ერთად მოაგროვეს

ზამთრის სუსხის მოლოდინში
შიშნარევად ნაბავს თვალებს.
თეთრი ჩოხით შემოსილან
ცად აწვდილი მწვერვალები,
მათ სიმაღლეს, სიდიადეს
თეთრი შურით თავს ვევლები....

ღვინობისთვის 24, 2004

* * *

" მე გარდავსულვარ, სიბერე
მჭირს ჭირთა უფრო ძნელია"
რუსთველი

მკაცრი სიბერის ხვედრი მკარნახობს –
ცოტაც და, - ჟამი პირქვე დამამხობს.
სენი უჩინო ჩემში ჩაბუქნავს? –
ლოგინს მიმაკრას, - ღმერთმა არა ქნას.
ამიტომა მსურს ნატვრა ამიხდეს,
მძინარს საწუთროს ხიდი ჩამიტყდეს;
თვალდახუჭული გაღმა გავიდე.
სულადქცეული ცის გზით წავიდე.
გამასამართლებს უფლის სამსჯავრო,
შედეგზე დღესვე უნდა ვიჯავრო;
მუხლებზე დავდგე, მოვინანიო
რაც უნებლიედ ცოდვა მიქნია, -
გარდასულ დღეებს თანგაყოლილნი
დავიწყების გზით შორს რომ მიჰქრიან.
იქნებ შემინდოს დიდმა გამჩენმა
შეუნდო ყველას, სთხოვა რამდენმაც....
შემინდობს???...

26ნოემბერი 20.05

აკაკის

" სამართალს კოლოფში სძინავს
ის არის ფულის მეგობარი"
საქართველოში მგოსანო,
დღემდე უპყრია მთა-ბარი,
მას გააღვიძებს ოდესმე
მკაცრი, უფულო სტუმარი
და ერში ამ სივაგლახეს
გადაესხმება მდუღარი.
მაგრამ ვერ წაშლის დრო-ჟამი
ციცინათელა – სულიკოს, -
და მარად იმღერს ქართველი,
ოღონდ კი ცოცხალი იყოს.
გიორგობისთვის 14, 2005

2006 – ს

მარად ტანჯულო
სისხლით მორწყულო,
ცრემლით ნამულო
ჩემო მამულო
მცირედის მთქმელი
დაგშორდა ძველი,
წითელი ძაღლის
გეახლა წელი,
მომილოცნია!
გასახარია და საოცარი:
წელი ახალი
მთვარეც ახალი?
ძაღლებრ ერთგულთა
ივერთა შვილთა,
მთა-ბარს ესმოდეს
სიცილ-ხარხარი.

დაგბედებოდეს:
ხვავი, ბარაქა,
გლეხკაცის გამრჯე
მაჯა მაგარი;
მშვიდობა ქვეყნად,
შვილთა სიმრავლე,
გულით მაგარით –
გაუტეხარით.
ამინ. 2იანვარი 2006

* * *

რა ჩუმად შემოპარულა
ეს მატრაკვეცა აპრილი,
ია ლურჯ ნაბდად გაშლილა,
ტყემლებს კვირტი აქვთ დაყრილი;
ზამთრისგან გასავათებულს,
გაღვიძებია მიწას,
თვალები დაუჭყეტიათ:
ჭინჭარს, ნიორს და პიტნას;
თეთრად ელვარებს ხევისპირს
ნაზი ენძელა ტანწვრილი,
ხევზე ხველებით ჩამორბის
თოვლი ცრემლებად დაღვრილი.....
ირგვლივ საამო სურნელი,
სუფთა, კამკამა დილა,
ღმერთო, უკეთეს ადგილზე,
კიდე ოდესმე მივალ?!
15აპრილი 2005 ამირნი

დედის კარნახით ჩაწერილი

ხალხური ლექსი

საიქიოს: - ცოდვის მქნელი
ჯერ მჭედელი, მერე მღვდელი,
უკან მისდევს მეწისქვილე
პირში სცრია სარეკელი

16აგვისტო19 64

პეტრე ბაგრატიონს

(ბოროდინოს ბაგრატიონის
საფლავი ააფეთქეს. პრესიდან)

უცხო მიწაზე გშობა განგებამ,
დიდ მხედართმთავრად გაქცია ბედმა,
გენერლის ჩინმა გავალდებულა
რუსეთისათვის თავისდადება?
ფიცხელ ბრძოლებში როს მტერს მუსრავდი
ვაჟკაცს გშვენოდა არწივის ხედვა,
ჰერკულესს ჰგავდი ბოროდინოშიც,
შენი ფრანგული ფრანგებსა სხეპდა.
მაგრამ საწუთრომ მარად ვერაგმა
სამარადჟამოდ არც შენ დაგინდო,
მომხდურთ მახვილმა და ბედისწერამ
სიცოცხლის გზაზე მიჯნა დაგიდო.
დიდმა ურჩხულმა პატივი დაგდო
და ეს პატივი თვითვე წაშალა,
ბოროდინოში შენი საფლავი
ააფეთქა და მიშალ – მოშალა.
იქნება დღესაც მინდორში ყრია
შენი, - ბრძოლებში დაღლილი ძვლები,
ქარი და წვიმა ჰყვანან მოზარედ
აგერ რამდენი გავიდა წლები!
თბილისში როცა არ დგას ძეგლები

თამარ დედოფლის, სვიმონ მეფისა,
არც "ბრწყინვალეა" აღმატებული,
ქვეყნის პატივი არც სხვათ ეღირსა...
შენ კი, - სამშობლომ კრწანისის ველზე
არაგველებთან ძეგლი აგიგო,
ო, დიდო ღმერთო! – რატომ და რისთვის? –
პასუხს ვინ გამცემს, ვისგან გავიგო!?

9 იანვარი 2004

მზის ამოსვლისას

დელგმა გადავლილ, ნაგვემ-ნალეწ კავკასიონზე
რიჟრაჟმა მეტად მოკრძალებით შეიფრთხიალა,
ცის გზას შეუყვა ტოროლას ხმა წკრიალ-წკრიალით
და დილის დროშა გაბედულად ააფრიალა.
შორით მოსულმა ცივმა სიომ, ბაგებით ცივით,
ქუჩის ღერებზე გადაკოცნა მთვლემარე ნამი,
კლდის ქვეშ მოძებნა მეხთა ცემით დამფრთხალი როჭო
ძილი დაუფრთხო, გზას გაუყვა, არ დადგა წამით....
მიუვალ კლდის ქიმს გადმოადგა ხარჯიხვი ლაღი,
ცვრიან ფერდობებს დაკვირვებით მოავლო მზერა,
ცაზე გამოჩნდა ლაჟვარდთ მეფის გაშლილი ფრთები
მრისხანე თვალით სამფლობელო მსწრაფლად დაზვერა.....
თეთრი სამოსით მოსილ კეკლუც ხევის პატარძალს
ზვიადს, ამაყად ზეცის კარი რომ გაუღია,
სიცოცხლის დედის, - მზის სხივებით აელვარებულს
შლეგიან ღამის თრთოლა-ძრწოლა ცად წაუღია....
იშმუშნებიან ზანტი ზლაზვნით მთანი მაღალნი
ზღაპრულ დევებად, უშფოთველად წამოწოლილნი,
ძირს ეშვებიან ჯანღდახურულ უფსკრულებისკენ
სხივნი მზისანი ნიაღვარად ცით ჩამოშლილნი.
ასე იწყება ჩემი მთების თიბათვის დილა,
ირგვლივ ფრინველთა გალობის ხმა იღვრება ტკბილად,

ტყე, კლდე, ხეობა თვალს ახელენ ზმორებით, ნელა,
წარმტაცმა დილამ რითმთა ძებნად მეც “ გამახელა”....
02ივნისი 2007

* * *

ვუძღვნი ჩემ სოფლელ ე.წ. “სამამულო” ომში (1941 - 45) ორი ვაჟკაცის დამკარგავ დედას (მეტი შვილი არც ჰყავდა)

მლეთელთ ასულო, ამირთ კერაზე
დედის სახელით მიმოდიოდი,
ლაღი ოჯახით თავს იწონებდი
და ორ ვაჯკაცსაც მამულს უზრდიდი.
გული ხარობდა შვილთა მხარბეჭით.
მკლავმოუღლელთა შრომის უნარით,
ჰქუხდა ცხოვრებაც წინმომავალი
სწრაფი ნაბიჯით, გაუგონარით.
ფიქრობდი ალბათ, ვით ყველა დედა
შვილებით ჩემით გავიხარებო,
დავაქორწინებ, შვილიშვილების
აკვნის რწევას არ დავიზარებო....
მაგრამ უეცრად მოწმენდილ ცაზე
შავმა აჩრდილმა ფრთები გაშალა
და ვაჟკაცები შენგან გაზრდილი
“მამულის”დამცველთ გაჰყვნენ გზა-შარას....
ხან მოდიოდა წერილი შორით,
ხანაც მნახველი გამოჩნდებოდა.
ორი ვაჟკაცი, ორივე ფრონტზე? –
დაზაფრულ დედას გული გტკიოდა .
გვიან ორივეს წერილი შეწყდა.
აღარც მნახველი ჩანდა არავინ .
უბედურების მაუწყებელი
ცნობებიც ჩანდა გულშემზარავი.

ცრემლის ღვართქაფში დაუურველმა
ჟამმაც სიბერე წამოგაწია,
შვილებს ელოდა გული დედისა –
იქნებ ერთ - ერთმა გამოაღწია?
გზის პირას მჯდომი, სოფელში მომსვლელს
ეკითხებოდი ცრემლის მფრქვეველი:
-ხომ არ გინახავთ ჩემი შვილები?
თედოს და ლევანს დღემდე მოველი.....
მწარე სვე-ბედის გარდუვალობამ,
ლოდინში სხეულს გაჰყარა სული
და სამუდამოდ მიწას შერია
ცრემლის მორევში დამდნარი გული.
გაცივდა კერა, დაინგრა სახლი,
ზედ დათარეშობს წვიმა და ქარი,
და დღემდე, დღემდე თედოს და ლევანს
უხმოდა ტირის ეს ნასახლარი..

09აპრილი 1963

* * *

წამიც კი არ ყოფილა
საწუთრო მიწყივ მბრუნავი,
მის ცბიერებას გადურჩა
ნუ დაიქადნის ნურავინ.
ხან თვალზე ბედნიერების
ცრემლიდან გამომზირალი,
ხან ფლიდი, გაუტანელი,
საზარელი ხმით მყვირალი.
დღეს სასურველის მომძღვნელი
ხვალე მიმთვლელი უკანა,
ვერც ის გადურჩა მის კლანჭებს
ვინც სულ ერიდა, უგანა....

06ივლისი 1967

ავი სენისადმი

(ვუძღვნი 36 წლის ასაკში კიბოთი
გარდაცვლილი დის ნათელ ხსოვნას)

დღეს უძლეველო, ლაღი ნავარდით
სადაც ისურვებ შეჰკრავ კამარას,
სიცოცხლეს ართმევ, იმ ქვეყნად ჰგზავნი
განუკითხავად დიდს და პატარას.
მოურევი და უფრო ძლიერი
ადამის მოდგმას ჯერ არ უნახავს,
შენს ულმობლობას მემატიანე
საუკუნეებს შემოუნახავს.
დღეს არა? ... ხვალე, მწამს დაგამარცხებს
ადამიანი ყველაფრის მძლევი,
ერთია მხოლოდ, - რა შეღავათი
ვისიც საფლავში აწყვია ძვლები?...

მარტი, 1966

ვაღიარებ

ნაღდად თქმის ნიჭი
მე ბევრჯერ მიჭირს....

09 სექტემბერი 2007

* * *

სამშობლოს ბედზე იუბნე ისე,
ჟრჟოლა დაიწყოს ყმამა,
გააფთრებული აიჭრას ზეზე
ხელი გაიკრას ყამას.....

18აგვისტო 20 09

* * *

ჩაგრულის ბედი? – გოდება.
დამჩაგვრელისა? – სიმღერა.
_ ძალაში დღესაცა რჩება:
“დივიდე დე იმპერა”.
03სექტემბერი 19 89

* * *

ხვალე შობაა კათოლიკეთა,
ხვალ ბიჭი მიჰყავთ ჯარში,
ღმერთო, მშვიდობით გამომიბრუნე
ჩემი გიჟ – მაჟი ჯარჯი....
24დეკემბერი 19 97

* * *

ჰეი, მისმინე! – სინდისის ქუდი
თავზე გხურავს და ქვეყნად დადიხარ?
შეცდომას, ცოდვას, - სახალხოდ იტყვი?
შენ გაგიმარჯოს! – კაცი ყოფილხარ....
27თებერვალი 1999

* * *

ჩემო ქვეყანავ, დიდი ხანია
ნაღდი პატრონი არა გყოლია,
დღეს მამულისთვის საჭირო კაცი
ვინმემ მოძებნოს არა მგონია.
16ივლისი 2001

* * *

რად გააჩინე უფალო
ასეთი ჭრელი ქვეყანა?
ამდენი ფლიდი, უგულო
რატომ ბოგინობს ნეტარა?
08 აგვისტო 1997

* * *

მაისით ამღერებული
კორდი, ქედი და მინდორი,
დიდი, გმირული წარსულით
ჩემს წინ გაშლილა დიდგორი.....
22 მაისი 2002

* * *

ღვთით ნაბოძები სიცოცხლე
მწარეც კი , - დიდად ტკბილია,
იმად რომ საწუთროს ბოლო
სიკვდილით ჩაკეტილია.
21აგვისტო 1999

* * *

უფალო, ნეტა რა მიზნით
ინებე ჩემი გაჩენა?
ან რად მიბოძე სულ მიჯრით
მტანჯველ ფიქრებთან დარჩენა?
ყოველდღე დარდთან ჭიდილი
სევდის მორევში ცურვა,
არსად სიკეთის ღიმილი
მუდამ თანმდევი ურვა.
წოლა ეკლიან ლოგინში
კვნესით თენება ღამის,
უკეთეს დღეთა ლოდინში
სული ამომხდეს ლამის.
ნუთუ სიცოცხლის ბოლომდე
სულ ბეწვის ხიდზე მავლევ?
გზას ძვალთსალაგის კარამდე
გაუღიმარი გავლევ?....
თებერვალი 1965

* * *

ქართველს, ვისაც ღმერთი არ სწამს,
მე ის, ნაღდად, კაცად არ მწამს. 05ივნისი 2007

ჯარჯი
(ექსპრომტად)

შენ ოცდახუთი სექტემბრიდან
მამავ ასულის,
ოცდამეერთე საუკუნის
ქალის, ქართველის,
შეწევნით უფლის, კარგ ქალობით
ცამდე ასულის –
დიდ ქართველ ქალებს გვერდს სდგომოდეს
მაგდას სახელიც.....
26 სექტემბერი 2000

მარიამს
პაწია შვილიშვილს ექსპრომტად

თიბათვის თვეა, დარია,
ირგვლივ მზის სხივთა ღვარია,
შენ ქვეყნად მოხველ მარიამ,
ვხარობ, არ მიდევს ზღვარია.
გფარავდეს დიდი გამჩენი
და ღვთისმშობელი მარიამ,
ბედნიერ დედად დაბერდი
სათნო, სპეტაკი ქალია.
08 ივნისი 2005

მომენტო მორი

წამებად მექცა სიცოცხლის მწუხრი,
ქაღალდო, განდე გულისტკივილი,
სხეული მიგრძნობს მარად უჩინო,
მიახლოვდება უხმო კივილით.....
12დეკემბერი 20.05

* * *

უფალი ბრძანებს: - შეუნდეთ
ცოდვის ჩამდენთ და ავისმქნელთ,
რად არ გვაუწყებს მეუფე –
როგორ მოვექცეთ ძმათამკვლელთ?
19 დეკემბერი 1991

* * *

ზეციდან მამცნობს სუსტი ხმით
ცივ სხივთა მფენი ვარსკვლავი:
“იცოდე, - ლიბანის მთებში
არის აბელის საფლავი”....
30 აპრილი 19 93

* * *

მავანისათვის საწუთრო
ველზე დევნაა ქარისა,
ვით უვიცისგან მუშტის რტყმით
გაღება ღია კარისა.
27სექტემბერი 19 89

* * *

მანამ ვცოცხლობ, -გათენდეს დილა
და არ ვადიდო გულწრფელად ზენა?
არ შევავედრო გამჩენს ჩემს წილად
ქვეყნად მშვიდობა, ერის შეწევნა?
-გარდუვალია, წუთისოფელი
უნდა დავტოვო, გარდავიცვალო.
ეს ცრუ, უნდო და ავისმყოფელი
სიცოცხლე ბნელზე უნდა გავცვალო.
სულადქცეული თუ ბედისწერით
ჯოჯოხეთის კარს ჩავუვლი გვერდით,
კვლავ დავბრუნდები უკან სხვა გზებით

მარად მქროლავი ნიავის ფრთეებით.
იქნებ გამჩენმა კურდღლად მაქციოს,
მიმინოდ, მერცხლად, ანდა შოშიად?
უღელში შებმულ ქედმაგარ ხარად,
ან ვწკავწკავებდე, ვიყო გოშია?
ანდა მოვიდე უღრანის მკვიდრად
რცხილების გვერდით ვიდგე წიფელი?
ან გაზაფხულზე ველად ავყვავდე
ყაყაჩოსავით ვიყო წითელი?
ან იქნებ, იქნებ... ცას ვეკითხები
თუმც უაზროა პასუხს რომ ველი,
ზეციდან მუდამ ისმის დუმილი,
დღემდე უთვლელი გავიდა წელი
და ნუთუ, ნუთუ,.....
21 მაისი 20 05

* * *

ჯანსაღ სხეულში – ბოროტი სულით
რამდენი დაძრწის გესლით, შხამითა?
“ჯანსაღ სხეულში – ჯანსაღი სული”
ვერა ვგებულობ, რად თქვეს ლათინთა?
ღვინობისთვე, 1977

* * *

თვრამეტი მარტი გათენდა
საშინელი ქრის ქარი,
თოვლის ნამქერით ივსება
კორპუსის კიბე – კარი.
მთვრალი კაცივით ქანაობს
მეცხრე სართული ჩემი,
მარტი ზეიმობს სიავით
და ეს სიავე შვენის....
ყინვით, ქარბუქით დაღლილი
კვნესიან ალვის ხეები,

უკან არ იხევს გრიგალი
ერთურთსა სცვლიან დღეები.....

18 მარტი 1997

ჩემს რძალს, ხათუნას
(ექსპრომტად)

უფლის ნებით ოცი მარტი
გამითენდა ბედნიერი,
ოჯახში შემომიფრინდი
მტრედი მეტად მშვენიერი.
თვალები გაქვს ანგელოზის
მშვიდი, წყნარი, ლმობიერი.
ღვთისმშობელს ვემუდარები
დაგვიბერდე ბედნიერი.
20 მარტი 19 97

* * *
ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს
ღმერთის შეწევნით გავლევ,
პირველს, - როს სასმისს ხელში ავიღებ –
მის სადიდებელს დავლევ.
ვიტყვი: - გამჩენო, - დიდება შენდა!
შენითა ბრუნავს ვრცელი სამყარო,
ცაზე ვარსკვლავნი შენით ბრწყინავენ
სიცოცხლეც ქვეყნად შენითა ხარობს.
შენით მოდიან გაზაფხულები,
შენით მოფრინავს თოვლის ფანტელი,
შენით მოჰყვება რიჟრაჟს ცისკარი,
ციდან მზის სხივი გვაწვიმს ამდენი.....
კვლავ შენი ნებით გათენდება და,
მზე აღმოხდება სხივების მფენი,

ცათა შინ მყოფო მამაო ჩვენო,
მარად და მარად დიდება შენი.....

25მაისი 2007

****

დღეს ჩემი მე-5 თვეში გადამდგარი ცად გაფრენილი შვილიშვილი – ექვსი წლისა გახდებოდა.

პაპის ექვსი წლის ნიკუშავ,
ისევ შენ გეალერსები,
ფიქრებში ზღაპრებს გიამბობ,
ხშირად ვერთობით ლექსებით.
თითებზე უკვე აღარ ვთვლით,
დათვლა ისწავლე ასამდე,
ხან მეტყვი: - მულტიკს ვუტურებ
პაპა - ეზოში წასვლამდე....
მუდამ ჩემს თვალწინ ტრიალებ,
ბიჭი ხარ წამოჩიტული,
ხტუნავ, ბუქნაობ, ბზრიალებ,
არა ხარ დონდლო, ფიტული.
.... მანამ აქა ვარ, შენთან ვარ
გულით, სულით და ფიქრებით.
შენთან მოვალ და მის მერე
სულ მუდამ ერთად ვიქნებით....
აპნისის 24, 2004

* * *

გვალვაა საქართველოში
გადახმა მთა და ბარი.
სამი დღე არის დიღომში
არ დავარდნილა ცვარი.
ნახევრად შიშველ ხეებზე

ფოთლები შიშით კრთიან,
მათი გამხმარი მოძმენი
ყველა მიწაზე ყრია.
გაცრეცილია გარემო,
ცის ნამს ნატრულობს მიწა,
დავბერდი, ასეთი გვალვა
არ მაგონდება, ვფიცავ....

31აგვისტო 20 06 ससससु + 38^{0}

* * *

მე რომ ქართველად დამბადე
ზოგჯერ მრცხვენია უფალო,
ამ ძმათა მკვლელებს, - ქართველებს
ფარი მე როგორ ვუფარო?
რად დააქციეს სამშობლო
ერთურთი წყვიტეს, ჟლიტეს,
ამ ვერაგობის კარებზე
ვინ დაგვიკიდებს კლიტეს?

21 მარტი 1994

* * *

ჰერ აინშტაინ, ფაშიზმი დაემხო,-
მორიდებით კითხვას ჰკადრებს მავანი:
- თუ კვლავ იქნა ომი გარდაუვალი
რა იარაღს იხმარს ადამიანი?
მეცნიერი დაფიქრდა და უპასუხა მშვიდად:
“ ეგ მე არა, მხოლოდ ღმერთმა იცის...
მაგრამ, შემდგომ თუ კი იქნა ომი ???
ქვების სროლით დაიწყება, ვიცი.”

12მაისი 1970

* * *

შენში ჰპოვებს თავშესაფარს იცის
სიყვარულით ვინც დაგეძებს ერთობ,

ყველა დიდად გაიხარებს ვიცი
გული ხარკად ვინც მოგიძღვნა ღმერთო!
24ივლისი 20 07

* * *

ვერავინ შეძლოს
საკუთარი ჯვარის ტარებით
ძვალთსალაგამდე
შეუცდომლად გზა გაიაროს,
ყოველი წამი გამოზომოს
წუთისოფლისა
უფლის შენიშვნა არ მიიღოს,
ისე იაროს!
17ოქტომბერი 20 07

თენდება

"ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა"
ვაჟა

თენდება კავკასიონზე
ლუხუმი ფეხზე ამდგარა,
იჭურვის ლაშარის გორზე
ასავლელს სახავს გზა-შარას...
ღვინობისთვის 12, 1989

* * *

მე მუდამ ვიტყვი, რომ ბულბული
მეტად ნაზია
მაგრამ არასდროს, -
რომ ყორანი არ არის შავი,
მუზის მშობელის საბრძანისი –
ჩემი აზრია,
საქართველოში

იყო, არის და , -
რჩება ფშავი.
12დეკემბერი 20 07

ანდერძი

დამასაფლავეთ იქ, სადაც ჩემი
წინაპართ ძვლები წვანან საფლავში,
მათ წმინდა სულებს აღთქმა მივეცი
არ დავაკლდები მე სათვალავში.
ცხრამეტი წელი ჩემი მთა-ბარის
გულ-მკერდის მსუყე ნაყოფი მზრდიდა,
ტყე-ველს ვლახავდი ხალისიანი
არ გადავსულვარ მე სოფლის გზიდან.
არ დავკლებივარ სოფლის სიხარულს,
არც ტკივილისთვის მიკრია ხელი,
მშობელო მიწავ, ჩემო გამზრდელო,
შენსკენ ვიჭურვი, ვიცი რომ მელი.
ვატყობ სიცოცხლის ყავლი თავდება
ქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული,
რაც შენ გეკუთვნის, - შენ ის მიიღე,
უფლის ნებაა სად წავა სული.
გემუდარებით, არ დაივიწყოთ
ფიჭვის ხისაგან შემიკრათ კუბო,
მუხას ან წიფელს ნუ მომაკარებთ
მაინც მივხვდები, იცით ვარ უნდო.....
ცრემლი და გლოვა? - რის მაქნისია?
საფლავის თავთან დამიდგით ჯვარი,
ნიკუშას ზემოთ ორ მეტრზე ჩამდეთ
მის ქვეშ მოვექცე არ მქონდეს ჯავრი.
სულად ქცეულიც ვერ მოვისვენებ
რიჟრაჟზე მარდად ფეხზე დავდგები,
ღამით ვარსკვლავთა მზერით დაღლილი

ლამაზი დილით მოვიხიბლები.
ბურვანას მთაზე ამოსული მზის
სხივების ცეკვას მივეფერები,
დავტკბები ჩემი არაგვის ცქერით,
ვიხარებ სოფლის ბედნიერებით...
იმრავლეთ ვინაც ქვეყნადა მრჩებით
ყოველ ნაბიჯზე იყავით ფრთხილი,
უფლის წყალობით ღრმა სიბერემდე
არა გტკენოდეთ არავის ფრჩხილი.
იმასაცა გთხოვთ: მუდამ გახსოვდეთ
წუთისოფელი ცრუა და მრუდი,
ღირსებით განვლეთ წუთისოფლის გზა
სუფთა მანდილით, ნამუსის ქუდით....

მარიამობისთვის 16, 2007, ს. ამირნი

(ვასო, მაგარი ხარ! ლ.ნ.)

* * *

ოცდახუთი აპრილია,
ზედაზენზე თოვს,
ამ ფიფქებით არსთგამრიგე
ჩვენს ცუდ სამოსს ჰქსოვს.
აღმართს მუდამ დაღმართი სცვლის,
ვიცი გაიდარებს
მერე გვალვა გადაბუგავს
ამ ჩვენს ლამაზ მხარეს

25 აპრილი 2007

* * *

გადრასულ დღეთა კუთვნილია ჩემი წარსული,
მომავალი მაქვს? – ვერას ვიტყვი, დასანანია;
ივერთა მიწის ერთ წერტილზე დაყუდებული,
კოსმოსში მივქრი, კარგად ვიცი, დიდი ხანია.
თუ მარად იფრენს მზის გარშემო ჩვენი პლანეტა

და არ გახდება მსხვერპლი სუპერ შავი ხვრელისა,
განგების ნებით ბოლოს ყველა მიწას ნებდება.
მადლობა ღმერთო! – ხვედრი მათი, მეც თუ მეღირსა...
6 იანვარი 20 08

ვაჟა – ფშაველას მეუღლის ნაამბობი

1951 წლის სექტემბერია, ფასანაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – ქეთევან კასრაძის ინიციატივით მეთერთმეტე კლასელებმა გადავწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში ექსკურსიის მოწყობა.

გამოიძებნა სატვირთო ავტომანქანა, სკოლის დირექტორი დ. თეთრუაშვილი კაბინაში მოთავსდა, ძარაში წინ რამდენიმე მასწავლებელი დაჯდა, მათ უკან კი არდი-გარდმო გადებულ ფიცრებზე მოსწავლეები დავსხედით და გზას გავუდექით.

ერთ საათში ჟინვალს მივაღწიეთ, ხიდზე გადავედით და როგორც მთიული ხანში შესულები იტყოდნენ ხოლმე, ფშავის წყლის(არაგვის) მარცხენა მხარეს ჩარგლისაკენ მიმავალ გზას გავუყევით. მეტად წყნარი, მშვიდი და მზიანი ამინდი იდგა. მივდიოდით ნელა, ვაკვირდებოდით ჩვენთვის არაგვთან შედარებით წყნარი მდინარის ჭალას, უკვე ყვითელ ფერებში გარდამავალ ტყიან ფერდობებს. ბავშვები ვიხსენებდით ვაჟას ნაწარმოებებიდან საზეპიროებსა და ჩვენს კუთხეში გავრცელებულ საყვარელ სასიმღერო ტექსტებს: ”გათენებისას ჭიუხში”, ”თუ ეგრე ტურფა იყავი”, ”მარჯვენას არ სჭრის მუცალსა” და ასე შემდეგ.

ერთერთმა მასწავლებელმა, რომელიც ჩარგალში ნამყოფი იყო, თქვა: - მალე, დაახლოებით ათ წუთში შევალთო ჩარგალში... ჩვენ მღელვარებამ შეგვიპყრო.

სკოლას ვამთავრებთ და კვლავ ბავშვური ემოციების გავლენის ქვეშ ვართ. ჩვენთვის რაღაც წარმოუდგენელთან შეხვედრას ველოდებით. ყველანი ვდუმვართ და საკუთარ ფიქრებში ვიძირებით.

რეალობასთან გვაბრუნებს მასწავლებლის ხმა: - ესეც ჩარგალი.....

შევედით სოფელში, ავტომანქანა ვაჟას სახლთან გაჩერდა, ყველანი ძირს ჩამოვედით და ეზოში შესასვლელ კართან მოვგროვდით. ჩვენ ხმაურზე სახლთან არც თუ ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და მოგვესალმა: - გამარჯობათ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით, მაგრამ მინდა ვიცოდე სადაურები ხართ? მე ვაჟას შვილი ვარ, ვახტანგი მქვია...

მას ჩვენი სკოლის დირექტორი მიესალმა და დასძინა: - ჩვენ ფასანასურის სკოლის მეთერთმეტე კლასელები მოვიყვანეთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის– თქვენი მამის – სახლ-მუზეუმის გასაცნობად და საკუთარი პიროვნება წარუდგინა – სკოლის დირექტორი დავით თეთრუაშვილი გახლავართო.

ბატონმა ვახტანგმა ყველას ხელი ჩამოგვართვა, მობრძანდითო, გვთხოვა და წინ გაგვიძღვა.

განცვიფრებულები და გაოგნებულები მივჩერებივართ პატარა მუშამბაგადაფარებულ მაგიდას, სკამს, ნავთის ლამფას, ფანჯარას, ბუხარს, კედელზე დაკიდებულ ირმის რქებს, სხვა ნივთებს და შელანძულ კედლებს. ძალიან უბრალო და მეტად ღარიბი მთიელი გლეხკაცის ბინას და მახსენდება ვაჟას მთელი ქვეყნის გასაგონად ნათქვამი:

”ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო”

ან: “ მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა”

აი, თუ რა პირობებში ცხოვრობდა და როგორ ბინაში ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს ეს ამაყი “კაი ყმა”. ნანახით განცვიფრებულები ერთმანეთს მივჩერებივართ, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებთ და ასე უბრად ეზოში გამოვდივართ, სადაც თურმე სიურპრიზი გველოდა; ბატონმა ვახტანგმა მოხუცებული, ყავარჯნით ხელში, სკამზე მჯდომი ქალბატონი წარმოგვიდგინა – ჩემი დედაო.

ჩვენ უკლებლივ, დიდი მოწიწებით მივესალმეთ დიდი ვაჟა-ფშაველას მეუღლეს. დიდი რიდითა და მოწიწებით ვუყურებთ ამ მშვიდ და წყნარ მოხუცებულ ქალბატონს . ჩვენი ეს უხერხული დუმილი დაარღვია ქალბატონმა ქეთევან კასრაძემ:

- ქ-ნო თამარ, იქნებ მოკლედ რაიმე ეპიზოდი უამბოთ ჩვენს ბავშვებს ვაჟაზე, - თუკი ეს თქვენ არ შეგაწუხებთ?

დედა-შვილთან ცალ-ცალკე ექსკურსიის მონაწილეებმა სამახსოვრო სურათები გადავიღეთ და ქ-ნმა თამარმა, გვერდით მდგომ ქეთევანს უპასუხა: “შვილო, მე დავბერდი, თავს ძალიან შეუძლოდა ვგრძნობ, მაგრამ თხოვნაზე უარს როგორა გკადრებთ” – და პირდაპირ დაიწყო: “ერთხელ, აღარ მახსოვს რომელი წელი იყო, ძალიან ცხელი ზაფხული დაიჭირა, გოლვამ გადაწვა და გადაბუგა ყველაფერი, ხევები და წყაროები ბევრი დაშრა, ხორბლის ყანები ნაადრევად შემოვიდა, იმ წყეულმა სიცხემ ისინი ისე გაახმო რომ მარცვალი თავთავიდან მიწაზე ცვიოდა და თუ დროზე არ მოვმკიდით, - მშივრები დავრჩებოდით. დღე და ღამე ვმუშაობდით, რომ მალე მოგვემკა და დანაკარგი ცოტა ყოფილიყო. ზოგჯერ ღამით ლამფას ან ფარანს ვანთებდით და ისე ვმკიდით, ღამით სიგრილეა და მუშაობაც ადვილი...

სამკალი რამდენიმე დღისაღა გვქონდა დარჩენილი, ვმკიდით, შუადღეთ უკან იყო, ლუკა გაჩერდა და მომეჩვენა, რომ სადღაც უაზროდ იყურებოდა, კარგა ხანს იდგა ეგრე, მერე დაიხარა და მკა გააგრძელა, მოგვიანებით კიდე ორჯერ გაჩერდა, მაგრამ მეოთხედ რო გაჩერდა, სათითეები წაიძრო

თითებიდან, სამკლაურიც მოიხსნა და ნამგალთან ერთად ხელეურზე დაყარა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაამოუღებლად დაეშვა თავქვე და სახლისაკენ აიღო გეზი.

ჩვენ მუშაობა გვიან დავამთავრეთ, ძნები ავაგეთ, შინ დავბრუნდით და საქონელი დავაბინავეთ. საჭმელი მოვამზადე. ლუკას წყალთან ერთად შევუტანე, მაგრამ უკან გამოსვლისას მივხვდი (ან მომეჩვენა), რომ მას არც ჩემი შესვლა და არც გამოსვლა არ გაუგია. ეგრე იცოდა, ხან ორ-სამ დღე-ღამეს გადააბამდა ხოლმე; თავაუღებლად წერდა. ლამფაში რომ ნავთი გაუთავდებოდა, ბუხარს აანთებდა და ცეცხლის შუქზე აგრძელებდა წერას. ამ დროს ჩვენთვის ვინმეს რომ თავები დაეჭრა და საქონელი გაერეკა, გარეთ არ გამოიხედავდა და წერას თავს არ დაანებებდა, ბევრჯერ მინახავს გათენებულში ქაღალდებზე დაძინებული და საჭმელი ხელუხლებელი.

აი, ეგეთი იყო და ეგრე იცოდა ლუკამ”.

მოკლედ მოჭრა ქალბატონმა თამარმა.

* * *

ოცდარვა მარტს ავიწიეთ ცაში
ღამე იყო, სამის ნახევარი,
ცად აჭრილი ჩვენი თეთრი რაში
სივრცეს ჰკვეთავს როგორც სატევარი.

უფლის ნებით ამინდია წყნარი
სხივიც არ კრთის სადმე ნათელ მთვარის,
ვარსკვლავებით დახუნძლულა ზეცა
სხვას ვერაფერს ვერ დალანდავს თვალი.

შევევედრე გულით ჩვენ დიდ გამჩენს
თბილისამდე წყნარად, მშვიდად ფრენა,
ფიქრებს გავყევ, მომერია რული
დიდი შვება, - ძილი მიძღვნა ზენამ.

გვერდით მჯდომმა გამაღვიძა გვიან
ახლა ძილი განა შეიძლება?
რიჟრაჟია, გაიხედეთ გარეთ,
დატკბით, ნახეთ დიდი საოცრება....
გავიხედე, არ ვუჯერებ თვალებს,
გაოგნებულს გული მიკანკალებს,
ულევ ფერთა ზეიმია ზოლზე –
ცას და მიწას შორის გავლებულზე.
ამ მოვლენის გადმოცემის ნიჭი
ნაღდად არ მაქვს, - ამის თქმა არ მიჭირს,
ვინც შეიძლოს, იმას გაუმარჯოს.
ნაღდ რითმათა თქმაზე დაიხარჯოს.....
03 აპრილი 1978

ჩემი პაწია შვილიშვილები

სხედან ეზოს კუთხეში
მაგდა, მარი, - დები.
ეზოში დაიარება
კრუხი წიწილებით.
კრუხს გაექცა წიწილა
“წია-წია” იწივლა,
მარიმ გაოცებულმა
სიხარულით იკივლა:
-დავიჭიროთ, მაგდა!
მოვეფერო მინდა.
-არ გაბედო, კრუხმა
სულ დაგკაწროს გინდა?
....შეეშინდა მაის
დაიხია უკან....
27ივლისი 20 09

სასაფლაო

ეს საუფლოა სიცოცხლეზე გამარჯვებულის
ადამიანთა მოდგმის ძვალთა შესაკრებელი,
ნაღვლით აღსავსე არემარე, ცრემლით მორწყული,
ცოცხალთა ბოლოდ მოსასვლელი და სამყოფელი.
უნდათ-არ უნდათ, ყველა აქეთ მოედინება
ძლევით მოსილი, უბედური თუ ბედნიერი,
არასდროს წყდება აქ მომსვლელთა რიგი, დინება
გულში იხუტებს სუსტია თუ ღონით ძლიერი.
აქ ვერვინ დათვლის ძაძით მოსილ ქვებზე დამხობილთ
მდუღარე ცრემლით რომ ტირიან შვილებს დედები,
გვერდით უდგანან მჭმუნვარე და მხრებში მოხრილი
უაზროდ სადღაც სივრცეებში მმზერი მამები.
დაზაფრულ დუმილს ზოგჯერ არღვევს გალობა შაშვის
სამარეთ მდუმართ ღამით ციცქნაბულბული ტირის,
ყველა საფლავთან ამაყად დგას სიკვდილი თავში
თუმც დღემდე ვერვინ ვერ დალანდა მის სახე-პირი.
აქ თვალის ერთი გადავლებით ხდება ნათელი
საფლავთ მოწყობის მეტად დიდი სხვადასხვაობა.
აქა ჩანს ქვეყნად ვინ ყოფილა ჯიბეებსქელი
და ვინ ყოფილა ღატაკი და არარაობა.
აქ გაგაოგნებთ წუთისოფლის წარმავალობა
აქ ფრთებგაშლილი დანავარდობს მელანქოლია,
აქ მოისმინო ღამით სულთა უხმო გალობა
აქ, აქ მოსვლაზე არ დაფიქრდე??? - მონაგონია.
.....
წმინდა წერილის კარგად ვიცით ათი მცნებიდან
ერთი გვაუწყებს დაჯერებით: “არა კაც ჰკლა”-ო,
შემინდე ღმერთო! – ვერ ვგებულობ, ნაშობებს შენგან
რატომ, რისთვის გვკლავ? – ან რად გინდა ეს სასაფლაო??

9მაისი 2009 საბურთალოს სასაფლაო

ჩემს შვილებს

არ დაელოდოთ ზეცის წყალობას
და ნურც დარჩებიტ ბედის იმედზე,
შრომით და გარჯით ეცადეთ ასვლას
ამ წუთისოფლის მაღალ კიბეზე.
04 სექტემბერი 1997

ღამის ზეიმი წამსვე თავდება
ცის გაიღება როგორც კი კარი,
წინაპართ თქმული აქ გამოდგება: -
“ქარის მოტანილს წაიღებს ქარი”.
30 აპრილი 1986

ჯერ დრე არ გათენებულა
არ მეგრძნო გულის ტკივილი,
არც რამე დაღამებულა
არ დამცდეს ბედზე ჩივივლი....
23. 10. 09

ეგ ყანწი მეც მომაწოდეთ
თუ დალევაა, დავლიოთ,
ეს უამური სიცოცხლე
რქა-და-ღვინოსთან გავლიოთ.
23 ნოემბერი 19 91

გაზაფხულის მოსალოცად
მოვედიო ენძელამ.
შენზე ადრე მოვედიო, -
ია პირში ეძგერა....
04აპრილი 1977

****

თიბათვის სამის ღამეა,
დენი გამორთეს, ბნელა.
წვიმს, თანაც ქარი უბერავს,
კავკასიონზე ელავს....
შენობის გვერდით დუდუნით
მიდის პაწაწა რუ,
აღარ მოისმის ჭოტის ხმა,
აღარსად კივის ბუ.
შორს მთებში დიდი ომია,
ხმა ისმის ფარ-ხმალთ ტეხის.
ელვას ისვრიან ღრუბლები
ხშირია ვარდნა მეხის...
გასუსულია გარემო,
აღარც ბულბული გალობს,,
ლამფის გარშემო პეპელა
უაზროდ ბრუნავს, წვალობს....
მე მალვით ძილი მიპარავს
ღამე წყვდიადში იწვის,
ვიცი, ხვალ დილით ბდღვრიალა
მზე გადაჰკოცნის ქიწნისს.
1963.

***

უძილობა მჭირს,
გული მაწუხებს,
სულ მივიჩქარი შინ,
სხეული მიგრძნობს
მეტად საწყენი
რაღაც შემხვდება წინ....
14 ნოემბერი 1985

P.შ. 1985 წლის 12 დეკემბერს გარდამეცვალა დედა

ჩემ სოფელში შინ მოუსვლელთათვის (19კაცი)
ე.წ. "ობელისკის" აგება მსურდა და
ქვემოთ თქმული ტექსტის დაწერა

შენა გთხოვთ, მზეო, ამომავალო,
გვნახე, ღრუბლებს ნუ მოეფარები,
თუ კვლავ გაჭირდა მხარევ მშობელო
იცოდე ჩვენი დანაბარები:
არაგველების შთამომავალნი
ფაშისტებთანაც ვდექით კაცურად, -
გვიხმე, საფლავებს დავეთხოვებით
და კვლავ დაგიცავთ მამა-პაპურად.
აქ ერთად ყველა ამირიძე ვართ
შენი ხილვა რომ არ გვიწერია,
"მამულს" ვიცავდით, სამშობლოვ ჩვენო, -
სიცოცხლე შენთვის შეგვიწირია....
09. მაისი 19 63 (მაგარი ხარ, ვასო! ლ.ნ.)

***

ჩემთან ერთადა შობილო, -
სალამი ჩემო სიკვდილო!
ძმობილზე უფრო ძმობილო,
დღემდე შორს ხელებგაწვდილო.
სიცოცხლე შენით კეკლუცობს
უხმოვ, უენოვ, უთქმელო,
ღმერთმა სულ შენი გზა ლოცოს
ყველას მომრევო და ქველო.
სამოცდა თექვსმეტი წელი
გრძელი გზა ერთად ვიარეთ, -
მე არა მძულხარ, იცოდე
გულისთქმა გაგიზიარე.
დიდ გამჩენს ვემუდარები

ათიოდ წელი მაჩუქე, -
მერე მოდი და მოვდივარ
სადაც გსურს იქ დამაჩოქე....
30მაისი 20 08

პერტე ბაგრატიონს

(ბოროდინოში ბაგრატიონის საფლავი ააფეთქეს.
(პრესიდან))

უცხო მიწაზე გშობა განგებამ
დიდ მხედართმთავრად გაქცია ბედმა,
გენერლის ჩინმა გავალდებულა
რუსეთისათვის თავის დადება.
ფიცხელ ბრძოლებში მტერთა მმუსრავსა
ვაჟკაცს გშვენოდა არწივის ხედვა,
ჰერკულესს ჰგავდი ბოროდინოშიც
შენი ფრანგული ფრანგებსა სხეპდა ...
მაგრამ საწუთრომ მარად ვერაგმა
სამარადჟამოდ არც შენ დაგინდო,
მომხვდურთ მახვილმა და ბედისწერამ
სიცოცხლის გზაზე მიჯნა დაგიდო,
დიდმა ურჩხულმა პატივი დაგდო
და ეს პატივი თვითვე წაშალა,
ბოროდინოში შენი საფლავი
ააფეთქა და მიშალ-მოშალა!
იქნება დღესაც მინდორში ჰყრია
შენი ბრძოლებში დაღლილი ძვლები,
ქარი და წვიმა ჰყვანან მოზარედ,
აგერ რამდენი გავიდა წლები ...
... როს აქოთებულ იმპერიაში
შენი სახელი დიდებით ქუხდა,

პატივაყრილი ივერთ ქვეყანა
რუსთა ჩექმის ქვეშ გმინავდა, წუხდა.
მონღოლთა ურდოს ნაშიერთაგან
ერს თავს დაატყდა უხადი ჭირი,
ერეკლე ალბათ საფლავში დღემდე
სამეფო წაშლილ სამშობლოს ტირის.
ხარის სანაცვლოდ მთიული ქალის
უღელში შებმა, მათრახით ცემა,
ნამუსის ახდა ქმრის თვალწინ ცოლის
აი, რუსული ზნეობა, ქცევა ...
უბატონო და თავისუფალმა
მთამ არ იგუა მონის უღელი,
მთის შვილთა რისხვა ზე აიყალყა
მდინარედ მოსკდა ბოღმა, ნაღველი.
ხალხში წყურვილი თავისუფლების
მთიდან დაშვებულ ზვავივით დასკდა,
ხელი ხმალს იკრეს მთიულთ, მოხევეთ
და აჯანყებაც მთის საზღვრებს გასცდა.
ანანურიდან სტეფანწმინდამდე
არბიეს, ჟლიტეს მომხვდურთ გუნდები,
უთანასწორო წააგეს ბრძოლა
თავკაცთ დაედოთ ფეხზე ხუნდები.
... თეთრი არაგვის გაღმა-გამოღმა:
ცხაოტს, მლეთას და დიდველს
აზანზარებდა ზარბაზანთ ბათქი
შიშის ზარს სცემდა ტყე-ველს ...
უტეხ მთის შვილთა დამმარცხებელი
სამი ქართველი "მამულიშვილი"
სამივე რუსთა გენერლის ჩინით:
ორბელიანი, ერისთავი და ჭილაშვილი...
ამბოხის დამწყებ თავკაცთა შორის
ჩემს დიდ წინაპარს სამუკა ერქვა,
არავინ ვიცით მათ ძვალთსალაგი

ერთმა ზეცაში თუ იცის ღმერთმა ...
. . . გვიან სამშობლომ რიდით და კრძალვით
მაინც იმედით, გვთხოვა შეწევნა,
მუქარით სავსე შემონათვალმა
პასუხმა დიდხანს არ დააყოვნა:
,,თუ კვლავაც მესმა მეფის აუგი
და არ იქნებით მისი ერთგული,
ჩამოვალ, მაგრამ აღარ დაგრჩებათ
სადმე ქვა ქვაზე ზედ დადებული” ...
. . . დღეს მლეთის გაღმა, ფრიალო კლდიდან
მთიელთა გლეხთა სისხლის დამქცევის,
ჰოი დაცინვავ, _ ზღვარგადასულო,
ორბელიანის სახე გვიცქერის ...
. . . თბილისში როცა არ დგას ძეგლები
თამარ დედოფლის, სვომონ მეფისა,
არც ბრწინვალეა აღმატებული
ქვეყნის პატივი არც მათ ეღირსა.
შენ კი, სამშობლომ, კრწანისის ველზე
არაგველებთან ძეგლი აგიგო.
აქაც დაცინვა არაგველების?
რატომ? ვის ვკითხო? ვისგან გავიგო?..
09 იანვარი 20 02

****

ეს ლექსი ჩემმა სოფლელმა ვანო ამირიძემ უძღვნა მეტად კეთილ და მშრომელ 22 წლის ვასილ ილიკოს ძე ამირიძეს, რომელიც სახლის აშენებას და ოჯახის შექმნას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა...

ვანომ ვთქვი ამირიძემა
ვდგავარ სიმართლის გზაზედა,
ლექსად უნდა ვთქვა სათქმელი

მადლი იქნება მკვდარზედა,
ვაჟკაცო შრომით დაღლილო
თავდადებულო სახლზედა
ღმერთმა გიბოძოს ნათელი
სხვა რა ვთქვა შენებრ კაცზედა.
სამშაბათს ნახე სიზმარი
ვიღაც კაცი დგას შარზედა
ძირს გეგო თეთრი ლოგინი
შავები გეცვა ტანზედა.
მამა არაფერს ზოგავდა
ექიმი გედგა თავზედა.
ოთხშაბათს დილით შებმული
გუთნეულები გაჩერდა.
ტირდა მთელი სოფელი
ყველას ცრემლი სდის თვალზედა.
სიკვდილსა სთხოვე: _ ნუ მომკლავ,
ხელს ნუ შემიშლი სახლზედა,
ქვა მაქვსო მოქუჩებული,
მიტანილი მაქვს გზაზედა,
მასალაც მომზადებული
დაწყობილი მაქვს კარზედა.
რომ მოვკვდე ვინღა მოუვლის
ეს მამაჩემიც დაბერდა
ძმას მაინც გამოადგება
თუკი ოჯახში გაჩერდა.
ქრთამიც აძლიე სიკვდილსა
მან უმალ დაკვრა გაბედა
ავადმყოფობამ გაჯობა
მთელი სხეული გაჩერდა.
ქალ-რძალთ ჩაიცვეს შავები,
თალხებს იხურვენ თავზედა...
შენ ხელარჯობა გიყვარდა
Mლოცავს გაყოლა მთაზედა

გლოვობენ შენი მშობლები
შენ ზიხარ ოქროს სკამზედა
ცხრა ანგელოზი გვერდს გიდგას
გადმოხვეულნი მხარზედა.

ჩავიწერე მე ვ. ამირიძემ 26.10.2010

ნამწყემსარის ნაამბობი
(ნამდვილად მომხდარი ამბავი)

თბილისიდან, კერძოდ კი აგრარული უნივერსიტეტიდან, ზუსტად 82კმ-ის დაშორებით თეთრი არაგვის ხეობის ცხავატის უბანში, მარჯვენა მხარეს ჩამომდინარე ხევის ორივე მხარეს გაშლილ-გაფანტულია მეტად ძველი სოფელი (ნაწილობრივ ნასოფლარი) ამირნი, - რომელსაც ძველად ამირთკარი ერქვა.

სოფელში ოდითგანვე მხოლოდ ამირიძეთა გვარისანი ცხოვრობდნენ. გვიან, - მე-17 თუ მე-18 საუკუნეში ქსნის ხეობიდან ორი ოჯახი გადმოსა¬ხლებულა და ამირიძეთა გვარისანი გამხდარან ყველა იმ ადათ-წესების დაცვით, რაც იმ დროს მოქმედებდა.

წინაპართა გადმოცემით, ამ სოფლის საძირკვლის ჩამყრელი მე-12 საუკუნის მიწურულს თუ მე-13 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებულა. სოფლის პირველ მოსახლეთ ტყეში და ძნელად მისადგომ ქედებზე უშენებიათ საცხოვრებელი ქოხის მსგავსი ბინები, რასაც ადასტურებს გასული საუკუნის შუახნებამდე შემორჩენილი ნაქოხარ-ნასახლარები და ადამიანთა ჩონჩხების ნარჩენები მახლობლად დაშლილი აკლდამების ტერიტორიაზე. ვინ იყვნენ ისინი, საიდან მოვიდნენ. - სინამდვილე არავინ იცის, ორი ვარაუდისა თუ ვერსიის გარდა.

1949 წელია, ომი ოთხი წლის დამთავრებულია, სოფელი სიცოცხლესა და ცხოვრებას აგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ 19 ვაჟკაცი ინაცვალა იმ საზარელმა ომმა, კასპიისპირეთის ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან სოფლის კოლმეურნეობის ცხვარ-მწყემსი, მეტად გრძელი გზით, გაწამებული და ქანცგაწყვეტილი მშობლიურ არემარეს დაუბრუნდა მაისის მეორე დეკადაში. სოფელმა გაიხარა.

მწყემსებმა რამდენიმე დღე დაისვენეს, მონატრებულ ცოლ-შვილს მოეფერნენ, ბიძაშვილობა-მეზობლობა მოიკითხეს, იპურმარილეს, საოჯახო საქმეები აწონ-დაწონეს, გასაკეთებელი საქმეები დაგეგმეს და ... ზოგმა კვლავ კოლმეურნეობის სამწყსოს მიაშურა, ზოგმა კი მაგ.: ფილიპემ და სანდრომ,-საკუთარი ცხვარი გამოარჩიეს კოლმეურნეობის ფარიდან, აიკიდეს გუდა-ნაბადი, გარკვეული რაოდენობის სურსათ-სანოვაგე და, მთიულეთში ყველაზე ლამაზ და თვალწარმტაც სათიბ-საძოვრებისაკენ აიღეს გეზი...

ნამწყემსარ ფილიპეს ნაამბობი: - ,,კარგად მახსოვს, მერვე დღე მოსაღამოვდა იმის მერე რაც მე და სანდრომ მთაში ავრეკეთ ცხორი. თავიდანვე ჭაობთ* ვაკეზე ერთმანეთის მომიჯნავე სახნავ მამულებზე (ნაკვეთებზე) მოვაქუჩეთ ჩვენ ჩვენი ცხორი ადგილის გაპატივების მიზნით და იქ ვათენებინებდით ღამეებს. ადგილი კარგია და ღამით ძაღლებს ვერც ნადირი მიუვა ადვილად. სადგომზე ცხორი რო მოვლალეთ და ძაღლებს ჯერი ვაჭამეთ, მერე ერთმა თხები მოვწველეთ, მეორემ კი ცეცხლი ავანთეთ, რძე ავადუღეთ და ვივახშმეთ. ძალიან კარგი ღამე იყო. წყნარი და მშვიდი. ვარსკვლავებით სავსე ცასაც ფერზე ეტყობოდა რო დარი იქნებოდა და არ იწვიმებდა.

მე და სანდრომ კარგა ხანს ვისაუბრეთ, მერე კი რადგან თიბათვის ღამეები ძალიან ხანმოკლეა, ნაბდები წამოვისხით და თეოზე გავედით ცალ-ცალკე. აქ უნდა ვთქვა, რომ

მწყემსის ვალია ფხიზლად იძინოს, ძაღლების ყეფას დროზე შეეხმიანოს, ნადირი გააფრთხოს, და თუ საჭიროა, თოფიც ხომ აქვს, - ისიც უნდა გაისროლოს რომ ნადირისაგან არა ნახოს ზარალი. ამ ფიქრებში ვიყავ რომ რული მომერია და ჩავთვლიმე, მაგრამ მოულოდნელად ძაღლებმა ატეხეს ყეფა და დაძინება არ მაცალეს. ყეფის ხმაზე მივხვდი, რო ნადირის გამო არ იყეფებოდნენ. წამოვჯექი და იმ მხარეს გავიხედე, საითკენაც ძაღლები უტევდნენ... გამიკვირდა, ნატბევთ* მხრიდან ნავთის ფარნის სინათლით ჩვენსკენ ვიღაც თუ ვიღაცეები მოიწევდნენ. სანდროს შევეხმიანე: - კაცო ამ დროს აქ ვის რა უნდა მეთქი?

- რა ვიცი, აბა რა უნდა გითხრაო - მიპასუხა სანდრომ.

ჩვენსკენ მომავალ სინათლეს გავძახე: - ეჰეეე! ... ვინა ხართ, რა გინდათ ამ დროს აქ და რას დაეძებთ?

ხმა არავინ გამცა, გამიკვირდა რომ არავინ შემეხმიანა. ჩემთვის გავიფიქრე: დიდება შენდა მაღალო ღმერთო, მთელი დღე მე ამ მიდამოებში ვაძოვე ცხორს და არც აღმა ავლილი და არც თავქვე ჩავლილი არავინ დამინახავს, მე და სანდროს გარდა მთაში არავინაა ამოსული, ვინ უნდა იყოს?

ამ დროს სანდრომ გასძახა: - ვინა ხარ კაცო ამ შუაღამისას აქ რას დაეძებო?.. სანდროსაც არავინ უპასუხა.

უფრო მოახლოვებულ სინათლეს ისევ მე ვკითხე: - ვინა ხართ კაცო, მუნჯები ხომ არა ხართ, ხმა გაგვეცით!

ისევ დუმილი.

მე პირჯვარი გადვიწერე და უფალსOშეწევნა ვთხოვე. ჩვენ სადგომთან საკმაოდ მოახლოვებულ ,,ფარნის'' სინათლეს ძაღლებმა მეტი გაავებით შეუტიეს, დაყრილი ცხორო დაფრთხა, დაიშალა და ერთმანეთს შეერია; ერთად შეჯგუფებული ცხორიც სინათლეს მისჩერებოდა, სინათლე კი იმავე ნელი სვლით ჩვენსკენ მოიწევდა და უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. იარა, იარა და ზუსტად იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც ჩვენ ცეცხლი გვენთო; სადაც რძე

ავადუღეთ. მე უცნაურად შემაჟრჟოლა, რაც აქამდე არასდროს მომსვლია;

ნაბდის ქუდი მოვიხადე, ზეცას შევხედე, პირჯვარი გადვიწერე, უფალსა და მამა-პაპათა სალოცავებს შევევედრე შემეწიეთ-მეთქი; ამასობაში ნაცეცხლარზე ,,ფარნის'' ნათებამ მოიმატა და კარგად გამოჩნდა რომ ნათებასთან არავინ იყო, ნათებამ ნელ-ნელა დაბლა დაიწია, ჩაიღვენთა, მთლიანად ჩანელდა და გაქრა...

მე და სანდრო ჯოხებზე დაყრდნობილნი, ნაბდებ წამოსხმულნი და ნანახით გაოგნებულნი ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდით. ძაღლებმა ყეფა შეწყვიტეს, ცხორმაც ნელ-ნელა დაყრა (დაწოლა) დაიწყო, ნანახით განცვიფრებულებსა და გაოგნებულებს რაღა დაგვაძინებდა? ფიქრებს გაყოლილმა მთელ ჩემს წარსულს გადამავლებინა თვალი.

... თორმეტი წლისა ვიყავ, როცა მამაჩემმა თავის თუშ მეგობარს, - რომელთან ერთადაც ,,ვლადიკავკაზ''-ში ტყავის დამუშავების ხელობას სწავლობდა, - გამაყოლა და სთხოვა: - აბა შენ იცი, ჩემო გიორგი (მთათუშეთის სოფელ დიკლოდან იყო გიორგი) ჩემი ბალღი დაუზარელია და შენ რომ იცი და გინდა, ისე გამოზარდეო.....

გიორგი საკუთარი შვილებიდან არ მარჩევდა, მამაჩემზე არა ნაკლები ყურადღებითა და სიყვარულით მივლიდა, არ მახსოვს, მას როდისმე რაიმეზე დავეტუქსე. ათმა წელმა გაიარა და თუ ჩემში რაიმე სიკარგე და სიკეთეა, - გიორგის კაი კაცობის წყალო¬ბით არის.

ათ წელიწადში სამასი სული ცხორი მომაგროვებინა და ოცდაორი წლისა, ამ პირუტყვითა და ცხრამეტი ცხენით მამაჩემთან დამაბრუნა.

დღესაც მახსოვს მამაჩემის სიხარულის ცრემლებით სავსე თვალები, ის დიდი პატივისცემით დახვდა მეგობარს, ისიც კარგად მახსოვს რომ, სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა ქეიფი და მოლხენა...

წასვლის წინ გიორგიმ გულში ჩამიკრა და მითხრა, აბა შენ იცი, ქორწილი არ გამომაპაროო და წავიდა. უნდა გამოვტყდე, რომ მის წასვლაზე ცრემლები მომერია და წელიწადზე მეტ ხანს თვალებიდან ვერ ვიცილებდი და სიზმრადაც კი ვნახულობდი. მთათუ¬შეთის გომეწრის ხეობიდან დაწყებული ფშავ-ხევსუ¬რეთის მთები ვიდრე თრუსოს ხეობამდე, სულ ფეხითა მაქვს დალახული, რამდენჯერ გზად მიმავალს დამღამებია. კლდის ქვეშ, ან ქვის გვერდით მიწოლილს გამითენებია, შიში რა იყო არ ვიცოდი, არც ნადირს გადავყრივარ სადმე და არც სხვა რამ მინახავს და მომჩვენებია. ამ ღამით კი ამ ხნის კაცმა ეს რა ვნახე ? ეს რა ვიხილე ღმერთო, ეს რა იყო? რა მოხდა?

სინათლე მოვიდა, ჩვენს ნაცეცხლარზე გაჩერდა, ენთო, ენთო და ნელ-ნელა ჩაიწია და ჩაქრა. ღმერთო შემეწიე, მე ხომ სანდროზე საკმაოდ უფროსი ვარ? მიმახვედრე, გევედრები როგორ მოვიქცე? რა ვქნა?
ამასობაში ირიჟრაჟა და ცისკენ ისარივით წასული ტოროლები აწკრიალდნენ. .

მოულოდნელად ჩემსავით ჯოხზე დაყუდებულ სანდროს, ალბათ ღვთის ნებით იყო,– შევეკითხე:

- გუშინ ცხორს სად აძოვე მეთქი?
- ელიაის* ძირებში და წვერის ანგელოზის* მიდამოებშიო
- მიპასუხა სანდრომ.

ესეც ალბათ უფლის შეწევნით იყო და მეორე კითხვით მივმართე: - იქიდან ხომ არაფერი წამოიღე ?

- კი ეჟვანი ვიპოვე და ის წამოვიღეო - ალბათ გულახდილად მიპასუხა სანდრომ.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა და სანდროს ვთხოვე: - ჩემო სანდრო, წუხელ მე და შენ ერთად ვნახეთ რაც მოხდა, მაგ ეჟვანს პატრონი უკან სინათლით მოჰყვა და სწორედ მაგის გამოა მე და შენ რომ ჯოხებზე დაყუდებულებმა გავათენეთ. ეგ ეჟვანი ამ დილაადრიან წაიღე და იქვე

გადაიტანე და იქვე დადე საიდანაც აიღე, რომ მობრუნდები ცხორი დავარჩიოთ და საძოვარზე გავრეკოთ.
ფილიპემ ნაბდის თუშური ქუდი მოიხადა (რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა), პირჯვარი გადაიწერა და დაიფიცა: მაღალი ღმერთი და მამა-პაპათა სალოცავები მრისხავდნენ, თუ სიმართლეს არ ვამბობდე და მაგის მეტი ჩემ სიცოცხლეში მენახოს რამე ან მომჩვენებოდეს ან მანამდე ან მაგის შემდეგ''.

ამ სიტყვებით დაამთავრა ნამწყემსარმა თხრობა...

ჩაწერილია 1968 წლის მარიამობის თვის 7 რიცხვში

შენიშვნა: ჭაობნი, ნატბევი სათიბ-საძოვრების ტოპონიმური უბნების სახელებია, სოფელი ამირნი, წვერის ანგელოზი, ელია - ხოლო წვ. ანგელოზი და წმ. ელია - სალოცავების საბრძანისის ადგილებია.

* * *

მთაშია ჩემი სოფელი
კოხტა, პაწია, პატარა,
შვიდასი წელი დრო-ჟამმა
ხმალ- ჩაჩქიანი ატარა,
ღმერთმა აცხონოს პირველად
ვინაც აქ ბინა დაიდო
მტრისაგან შეწუხებულმა
გზად დიდი მსხვერპლი გაიღო
ჯერ ტყეში ქოხი ააგო
გვერდით აკლდამა მოიწყო
ხის კავით მიწას ჩიჩქნიდა
ხორბლის მოყვანა დაიწყო.

პირუტყვს უვლიდა,შრომობდა
სიცოცხლეს გარჯა სჭირია
სათიბ-სამკალი, მწყემსობა
ცხოვრება გასაჭირია.
ცოტა რომ სულ მოითქვა
მსწრაფლ ციხე-კოშკი აიგო
წყლისთვის გვირაბი გათხარა
ძირს სიპი ქვები დაიგო
ციხის ზემოთ კი ვაკის პირს
ააგო მცირე საყდარი,
მთავარ ანგელოზს გაბრიელს
შესთხოვა თავშესაფარი:
გვიშუამდგომლე უფალთან
გაგვხადე შენი მოყმენი
მუდამ გადიდოთ, გილოცოთ
გექნეთ მორჩილი მომხრენი.
უფალს აღუთქვა პირობა
დღემდე უტეხი ფიცითა.
ყოველ წელიწადს ეახლოს
სულთმოფენობის დღისითა,
აანთოს წმინდა სანთელი,
ადიდოს ღმერთი, ხატები,
საკლავი დაკლას, ილოცოს
მუხლმოყრით გულში ნადები....
სოფლის ზურგს უკან ჰყუდია
ოთხი ფერდობი ტყიანი
თავზე გვირგვინად ადგია
სათიბი ყვავილოვანი.
სულ ზემოთ ცამდე ასული
პატარა კლდეა კურკუტო,
ჯანღით თავდაბურულია
ძვირად თუ ნახავთ უქუდოდ.
შუა სოფელზე ჩამოდის

მთის ნაკადული პატარა
კლდის ძირში ცივი წყარო დის
სწრაფად ივსება მათარა.
აღმოსავლეთით მშფოთვარე
ჩაუდის თეთრი არაგვი,
მის ხოტბით ბევრი დაღლილა
მეც მისითა ვარ ამაყი.
ფეხზე დგას მთელი სოფელი
კუშტი და გაუტეხელი
საამაყო აქვს წარსული
ამირნი ქვია სახელი.
სულ ოციოდე კომლია
ამირიძეთა გვარისა,
ყველა მხნეა და გამრჯელი
სიცოცხლე დღემდე “ჰყვავისა”,
ჰყოლია ბევრი ვაჟკაცი
გაუმაძღარი ბრძოლითა.
მარტო კრწანისში შვიდთ სძინავთ
მშვიდად საღათას ძილითა.
ფაშისტებთანაც ბრძოლიდან
ცხრამეტ კაცს დღემდე ელიან.
ერთის იციან სამარე,
უკრაინაში სვენია....
.....
პაპას მოყოლით, - ციხესთან
ათი მდგარაო ბოძები,
ექვსს მოვესწარი, ეხურათ
თავის ქალები ოსების....

ირაკლის, საძმო კაცს

მადლობა სამძიმრისათვის
გვერდით უდგეხარ მამალსა,
ცხონება ჰქონდეს იმ ქვეყნად
შავების გზაზე მავალსა.

შენთვის ვფიქრობდი ირაკლი
ლექსად მეთქვა რამ, თუ არა
ცდუნებამ მაინც დამძლია,
თავს ელვად გადამიარა,
მითხრა: ,,რას მიეთ-მოეთობ”
ლექსის დაწერა მოგინდა?
ეგეთი აზრი საიდან?
რომელი მხრიდან მოვიდა?
გაიგე, - მუზების ღმერთმა
ზურგი გაქცია, წავიდა,
თვალს მიეფარა ლანდივით
მზეს გაყვა, მასთან ჩავიდა.
წყალობის ნაცვლად მოგიგდო
უნიჭობა და დუმილი,
სურვილი რითმის ძებნისა
და ლექსის წერის წყურვილი.
მუდამ შეგეძლოს ჯახირი
და უშნოდ-უგონთ რატრატი
არა მთის წყაროსავითა
გულის საამო რაკრაკი.
ცდა ბედის მონახევრეა, -
ასე უთქვამს ძველებს.
მეც ცდაზე თავი გადავდე
რაც უფრო გამახელებს.
იქნებ შევიძლო პასუხის
მეც ლექსის ფორმით დაწერა,

ხვალ ან ზეგ დავიტრაბახო
შევიძლო თავის აღერა.
ახლა, როცა ვწერ ამ სიტყვებს
ლოგინს გახლავარ გაკრული,
სიცხისგან გათანგული და
ბედისგან მედგარდაკრული...
.....დიახ, მე შენი რჩევითა
კვლავ ვაქორწინე მამალი,
მოვგვარე ჭროღა დიაცი
თავის გვარ-ტომი, ფრთამალი.
თაფლობის თვე აქვთ, ლაღობენ
კვერცხს კვერცხზე ისვრის დედალი,
თავს დაჰკურკურებს ამაყად
დეზებიანი მხედარი...
შენ პოეზიის ქურუმსა
გამშვენებს სტილი ფშაური,
შენ ვერვინ წამოგეწევა
გვარად ხარ გაბიდაური.
როგორ გავბედო ტიტანთან
შებმა, რითმების ჟღრიალი?
რის მაქნისია ყურცქვიტა
როს ესმის ლომის ღრიალი?
მამალს მილექსებ ძმობილო
რითმებს თავს მიყრი ხვავადა,
ლექსებითა გსურს გამთელო
გადამიარო ზვავადა.
გირჩევ დაბეჭდო ლექსები
ეძებო, გზები გაკვალო,
რედაქციები აოტო
მათ კარზე ხრმალი ახალო.
შენა ხარ ხვალის პოეტი
ოცდამეერთე გელის,
რითმების ცეცხლში დაფერფლო

უნდა სიცოცხლე მთელი,
საკაცობრიო თემებზე
შენი სიტყვა თქვა იქნებ,
მემატიანეც უთუოდ
შემდგომში რითმებს გიქებს...
სხვა რაღა გითხრა ირაკლი
მეტი არ ძალმიძს იცი,
კვლავ საძმო კაცად დავრჩები
გჯერა, მეც კარგად ვიცი.
ერთია მხოლოდ სათქმელი
ბოლოში ჩასვლა მინდა
თუმც, უკვე ბოლოდ სათქმელი
ენიდან გამიფრინდა...
შენებრ არ მივკიბ-მოვკიბავ
პირდაპირ, ჩიქურ გატაკებ,
ჩვენებ ,,ლექების" დამწერი
ყველა ჩვენსავით რატრატებს...

11.ოქტომბერი 1996წ.

დედის კარნახით დაწერილი:

ია შენატრის ენძელას

ბედნიერო ენძელაო
სამჯელ მოხვალ წელშიაო,
ერთხელ მოვალ, მოვშავდები
მაშინაც ულრან ტყეშიაო"

მკათათვის 18.1997წ.

***

კრწანისში დღესაც ატყვია
არაგველთ ცხენთა ნატორი -
სიცრუე მათზე ვერ შემიტყვია
„ხმელი წიფელის“ავტორის.

1988-2014წწ.

***

პატიებას გთხოვ, უფალო, -
გავკადნიერდი ბებერი,
ყველა, ვინც ჩემებრ გარეკავს
ჭკუით იქნება ჩემფერი.
კარგად ვიცით ძველი აღთქმა,
მწყობრად ჰყვება, დავიფიცებ,
თიხა როგორ მოზილე და
კაცის ტანი გამოძერწე.
ნაკეთობა მოგეწონა
შემდეგ ჩაუბერე სული,
კაცმა ფეხზე გაიარა
ვაჟკაცია ტანად სრული.
მარტო კაცმა რა უნდა ქნას?
კითხვა იშვა იქვე, წამსვე,
მდედრიც ჰყავდეს უნდა გვერდით
სიკეთით და გრძნობით სავსე.
მოაბრუნე ვაჟკაცი და
ამოართვი ნეკნის ძვალი,
ძვლიდან მსწრაფლად გამოძრეწე
თვალწარმტაცი ქალის ტანი.
ადამს გვერდით დაუყენე
ევა, მისი მინამგვანი...
.....
ქალის ტანიც რომ შეგექმნა
აღარ იყო ნუთუ მიწა???

სხვამ ირწმუნა? - მე არ მჯერა
შემინდე და ნუ გამკიცხავ.

***
დამიგდო წუთის სოფელმა
წელში მომგრიხა კავივით.
სიცოცხლის ყავლი ილევა
აქა-იქ ვჩხავი ყვავივით.
უქმად გავლიე საწუთრო
გვიან არს თითზე კბენანი,
დაბლა მე არა ვვარგოდი
არცა მწყალობდნენ ზენანი.
გარდუვალს ვუმზერ, წინ მიდგას
„იქ“ წამსვლელთ დამწესებელი,
ხელში უჭირავს მახვილი
სიცოცხლის დამსრულებელი.
მალე ალბათ თავს წამაცლის,
გზას მიმასწავლის შავეთის.
წერილებს მოვიწერები
თუ იქ „მშვიდობით“ – „შავედი...“

მთიულეთში მღერიან

ვიმხიარულოთ სწორებო
მანამ ერთურთსა ვხედავთო,
თორემ მაშინაც გვეყოფა
შავს მიწას ამოვხედავთო.

***
დისწული დედისძმათასა
სკამს უკითხავად დაჯდება,
თუ ეწყინება დედისძმათ
სკამი ოხრადამც დარჩება.

***

იანვრის ოცის დილაა
გონებას ღრღნიან ფიქრები,
სამუშაოსკენ გზად თოვლის
შუბლს მიკოცნიან ფიფქები.
-იქნებ ინებოს გამჩენმა
ნაღდად გვაწვიოს ზამთარი,
ქათქათა თოვლმა დაფაროს
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.
თავაწყვეტილი ზვავები
მთიდან დაეშვნენ ხმაურით,
რომ გაზაფხულზე ხევებმა
ატეხონ აურზაური.

***

ვაჟკაცი ხარ და კაცობის ქუდი
თავზე გხურავს და ქვეყნად დადიხარ? –
შეცდომას შენსას სახალხოდ იტყვი?
შეგინდობს ღმერთი, - კაცი ყოფილხარ...

***

გამჩენო, შენს სიდიადეს
კაცთა გონი ვერ მიაგნებს,
თვით მოსპობას უმალ შეძლებს
ძებნას თავს თუ არ ანებებს....

***

ჩვენი უფლის დედავ,
ცათა შინა გხედავ,
გადმოხედე წილხვედრ მიწას
კრძალვით აჯას ვბედავ...

***

როდემდე იბობოქრებს
ქაოსი უთავ-ბოლო?
ზემონი ზეობენ მუდამ,
ქვემონი ვუმზერთ მხოლოდ...

***

ადამიანის გონებიდან ამოსული
აზრი მაძებარი,
ვერაფრის მპოვნელი -
უკუ მიიქცევა უმალ.
 გვამადქცეულის
ცად წასული სული კი -
მუნვე ვანდება, -
რადგან ასე ენებება უფალს....

***

„თეთრი არწივი“ - რაზმია,
„შავი არწივი“ - ფირმაა,
„ოქროს არწივი“ - პრიზია,
ნაღდი არწივი სადღაა?
ნაღდი არწივი? - ცაშია
ლაჟვარდთ სივრცეთა მფლობელი,
ფრინველთა მეფის ვალია
იყოს თვალთმიუწვდომელი....

პეტრე ბაგრატიონს

ბოროდინოში ბაგრატიონის
საფლავი ააფეთქეს. (პრესიდან)

უცხო მიწაზე გშობა განგებამ,
დიდ მხედართმთავრად გაქცია ბედმა,
გენერლის ჩინმა გავალდებულა

რუსეთისათვის თავის დადება?
ფიცხელ ბრძოლებში მტერთა მმუსრავსა
ვაჟკაცს გშვენოდა არწივის ხედვა,
ჰერკულესს ჰგავდი ბოროდინოშიც,
შენი ფრანგული ფრანგებსა სხეპდა....
მაგრამ საწუთრომ მარად ვერაგმა
სამარადჟამოდ არც შენ დაგინდო,
მომხდურთ მახვილმა და ბედისწერამ
სიცოცხლის გზაზე მიჯნა დაგიდო.
დიდმა ურჩხულმა პატივი დაგდო
და ეს პატივი თვითვე წაშალა,
ბოროდინოში შენი საფლავი
ააფეთქა და მიშალ–მოშალა.
იქნება დღესაც მინდორში ჰყრია
შენი, - ბრძოლებში დაღლილი ძვლები,
ქარი და წვიმა ჰყვანან მოზარედ
აგერ რამდენი გავიდა წლები!
როს აქოთებულ იმპერიაში
შენი სახელი დიდებით ჰქუხდა.
პატივაყრილი ქართლი, კახეთი
რუსთა ჩექმებქვეშ გმინავდა, წუხდა.
მონღოლთა ურდოს ნაშიერთაგან
ერს თავს დაატყდა უხადი ჭირი,
ერეკლე ალბათ საფლავში დღემდე
სამეფოწაშლილ ქვეყანას ტირის....
ხარების ნაცვლად მთიულთა ქალთა
უღელში შებმა, მათრახით ცემა,
ნამუსის ახდა ქმრის თვალწინ ცოლის
გახლდათ რუსული ზნეობა-ქცევა.
უბატონო და თავისუფალმა
მთამ არ იგუა მონის უღელი,
მთიელთა რისხვა ზე აიყალყა
ავად გადმოსკდა ბოღმა-ნაღველი.

თავისუფლების დაკარგვის შიშმა
ამაყად მძლავრი გაშალა ფრთები,
სოფლებზე ელვად გადიგრიალა
და შეარყია მდუმარე მთები...

დაზაფრულია ნაზღაიძე მთის ციხისთავი
ტვინს უბურღავენ მრუმე ფიქრები,
„ჩვენს თავს თუ ჩვენვე არას ვუშველით
ხვალ ყველა რუსთა მონა ვიქნებით“.
ნაცვალს უხმო , -ამირიძე სამუკას
და დეკანოზს, - უფლის მსახურს, ბურდულს,
დრო არ ითმენს ვითათბიროთ ძმებო,
და ციხის კარს უყრის რკინის ურდულს.
რუსთ ავკაცობას არ უჩანს ბოლო,
ჩვენს მოთმენასაც აქვს დასასრული.
აღარც მეფე გვყავს, უპატრონობით
ქართლ-კახეთია მთლად დაზაფრული...
საარაგვო დავაყენოთ ფეხზე.
ქვეყნისათვის თავდადებულთ ვუხმოთ,
განაზრახი ვამცნოთ მეზობლებსაც
მძიმე ტვირთი რომ ერთადა ვზიდოთ.
თავკაცებად შევარჩიოთ, ვფიქრობ
ვისაც გული სამშობლოსთვის უძგერთ.
მამულისთვის თავდადებულთ იცით
უფლის თვალი მწყალობელი უმზერს.
მამასახლისთ ვთხოვოთ ხეობებიდან,
მოხევეთგან ჩქარეულსა თათარას,
მთიულთ ბენიაიძეს და ორთ ბედოიძეთ,
გუდამაყრით ჩობალაურს ომანას...
ლოცვით ანთებს შიო წმინდა სანთელს,
ჯვარით ხელში ევედრება გამჩენს:
მწყალობელო შეგვეწიე თორემ
გაგვწყვეტავენ, ვერ ავიტანთ ამდენს...

ბრძოლისათვის ხეობების მცხოვრებთ
იარღი აისხითო, - სთხოვეს,
გავრეკოთო მოძალადე რუსები
მანამ ყველამ სამარე არ ვპოვეთ...

თავისუფლების წართმევის საფრთხე
დიდველის თავში ბომბივით გასკდა
მთისშვილთ იარაღს დასტაცეს ხელი
და აჯანყებაც მთის საზღვრებს გასცდა...
ზე აიჭრნენ საარაგვოს ხეობები, -
თერგიც, თრუსოც, მაღრან-დვალნი,
მათ მსწრაფლ გვერდით ამოუდგნენ
ფშავნი, ქსნელნი, და ხევსურნი.
თეთრი არაგვის გაღმა-გამოღმა
ჭართალს, ცხავატს და მლეთას
აზანზარებდა ზარბაზანთ ბათქი
თესდა შიშსა და ელდას...
სტეფანწმინდიდან ანანურამდე
უტიეს, ჟლიტეს მომხვდურთ გუნდები,
უთანასწორო წააგეს ბრძოლა
ტყვეებს დაადეს ფეხზე ხუნდები....
აჯანყებულთა თავკაცთა შორის
ჩემს დიდ წინაპარს სამუკა ერქვა,
დღემდე არ ვიცით მისი სამარე
ერთმა ზეცაში თუ იცის ღმერთმა...
უტეხ მთის შვილთა დამჩოქებელი
მაინც ქართველი, ქართული გონი,
გორელ თავადთა შთამომავალი
სულგაყინული ციციანოვი.
.... ეს მთის მცხოვრებნი აზროვნების მხრივ
პირუტყვისაგან არ სხვავდებიან,
თავად დავრწმუნდი მათთან საუბრით“.
მოახსენებდა ხელმწიფეს გვიან -

მაგრამ განგების ნება მაღალი
არ გადიხარა მცირედით, მისხლით,
მას თავი მოსჭრეს სადღაც, ბაქოსთან
მუსლიმანებმა აგვიღეს სისხლი....
..... ბოროდინოს გმირად გახდომამდე
ქართლ-კახეთმა კრძალვით გთხოვა შეწევნა.
მუქარით სავსე პასუხმა თქვენმა
ჩამოსვლა დიდხანს არ დააყოვნა:
„თუ კვლავაც მესმა მეფის აუგი
და არ იქნებით მისი ერთგული,
ჩამოვალ, მაგრამ, აღარ დაგრჩებათ
სადმე ქვა-ქვაზე ზედ დადებული“...
აი, პასუხი მხედართმთავარის,
იესე მეფის ნაშიერისა,
ფეხზე ეკიდა მას ქართლ-კახეთი
მონად ქცეული იმპერიისა....
.....თბილისში როცა არ დგას ძეგლები
თავდადებულის, სვიმონ მეფისა,
არც ბრწყინვალეა წარმოჩენილი,
ქვეყნის პატივი არც სხვათ ეღირსა...
შენ კი, - პარტიამ კრწანისის ველზე
არაგველებთან ძეგლი დაგიდგა,
ასე აგდება სამასი გმირის???
ო, დიდო ღმერთო! – ის რა დრო იდგა!
P.შ.
ქართველ მეფეთა გვარისა
რუსეთს შობილის, გაზრდილის,
არაგველებთან კრწანისში
ძეგლის ადგილი არ არის.
უპრიანია, გენერლის
ძეგლი ვაჩუქოთ რუსეთს,
მისსავე ნასაფლავარზე
ბოროდინოში იდგეს....

***
იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო
როცა დარწმუნდა დედამიწა მართლა ბრუნავდა,
აღტაცებულმა აღმოჩენით ისე იკივლა
მთელს იტალიას გადაევლო მეხის გრგვინვადა.
„აღმოჩენისთვის“ კათოლიკეთ წმინდა მამებმა
კოცონზე დაწვა მიუსაჯეს ჯორდანო ბრუნოს -
ცეცხლზე იწვოდა ჯორდანო და ბრბოს მიჰკიოდა
„მალე ირწმუნებთ უგუნურნო რომ მართლა ბრუნავს“....

***
ენით უთქმელი სიხარული
ზეცით მოძღვნილი,
წამგვარა უნდო და ვერაგმა
წუთისოფელმა,
ჩემი პირველი შვილიშვილის
ოთხი თვის ნიკას -
მხოლოდ ღიმილი მისახსოვრა
ავისმყოფელმა....
***
აჰა, გასრულდა ჩემი სიცოცხლის
წყალში ჩაყრილი ცამეტი წელი
ეს ბნელი ორმო, უკან დამრჩალი
გასახსენებლად იქნება ძნელი...

***
ოთხმოც წელს იქით გადასულს
აღარ მეშლება, ვხვდები,
მიშრება სიცოცხლის წყარო
და დღემუდამა ვხმები.
ჯანმრთელობასაც დაბზარულს
ვეღარ ვპატრონობ, ვუვლი,

თვალებში ბინდი ბობოქრობს
კვნესის დაღლილი გული.
გასვლა სიცოცხლის ფინალში
მწარე ყოფილა, ძნელი,
დღეთა ნათელთა სანაცვლოდ
მელის სამარე ბნელი.
ამ ქვეყნად მოსვლა დღემდე
გამჩენის ნებით ხდება,
მისივე ნებით ცოცხალი
ყველა უკლებლივ კვდება.
იმ ქვეყნის უცხო სულეთში
მინდა, არ მინდა - წავალ,
ფართოდ გაღებულ კარებში
რიდით და კრძალვით შევალ.
რაა სულეთი? როგორი?
ეს მხოლოდ ზეცამ იცის,
ადამის მოდგმის შვილებმა
დღემდე არარა ვიცით...

ჯარჯი

დაბადების დღეს გილოცავ,
ლექსად მოგართმევ დილითა,
დღეს „ჯიპით“ მიმქროლ-მომქროლსა
ხვალე არ გევლოს ვირითა.....

***
რწმენა გამყარდა ჩემში
რაზიკაშვილო ლუკა,
შენი „მოხუცის ნათქვამი“ -თ
სიცრუის ჩონგურს უკრავ.

...“აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი
მოხევე-გუდამაყრელნი,
შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენი ერთგულნი ქართველნი“.

აქ მთიულთ, ქართლელთ, ხანდოელთ
ყოფნა რად არ სურს მოხუცსა?
უთუოდ რაღაც საბაბით
ხელი სომრუდით წაუცდა.
თქმულა: - „სამარის კარამდე
არ მივა შეუცდომელი“-
ღმერთმა შეუნდოს მოხუცსა
საფლავს თან ჩაჰყვა რომელიც.
საარაგვოდან გლეხების
ომში წასული შვილების -
კრწანისის ველზე დამრჩალთა
მართლის თქმას გვთხოვენ სულები.
კრწანისის ველზე სამასი
დღეს ნაღდად ვიცით ვინც იყო,
მათთან ფშაველი? ხევსური?
ერთი კაციც კი არ იყო.
ოტებულ მეფის მადევართ
ჟინვალს კლდედ აღმართულები
დაუხვდნენ ფშაველ-ხევსურნი
გვერდს მდგომი შამშადილებით.
ისტორიკოსთა მოთხრობით
იქაც ყოფილა სამასი
ყველა ფშავ-ხევსურთ შვილები
რკინის მკვნეტავი ვაჟკაცი.
შამშადილებთან ერთადა
აჩქერეს სისხლის ღვარები,
მტერმა ვერ შეძლო გაეღო
შმაგი არაგვის კარები.

აქ ბრძოლა ფშაველ-ხევსურთა
არვის ეგონოს არაკი,
მცხეთას მტკვარს უერთდებოდა
სისხლით ნაღები არაგვი.
ოთხი ათასი სპარსიდან
ორასიოდე თუ დარჩა -
სირცხვილნაჭამი სარდალი
ქალბალი ხანიც გადარჩა.
თავზარდაცემულთ მოკურცხლეს
შემრულთ სიკვდილის შიშითა,
ეახლნენ აღა მაჰმად ხანს
ხოხვით და ვაი-ვიშითა...
...მსტოვართ გადმომცეს შაჰინშაჰ
ცნობა დამცემი თავზარის,
გურჯთმეფეს შეუკრებია
უზარმაზარი ლაშქარი.
მთიულეთს ელის რუსის ჯარს
თან მოჰყვებიან ლეკები, -
ბრძოლებში გამოწრთობილნი
მსგავსნი ვეფხვების ლეკვების.
...იქნებ ვიფიქროთ გაცლაზე
ხომ მოვაოხრეთ თბილისი,
ამ ღამით მოვემზადოთ და
ჯარი ავყაროთ დილისთვის...
-დასტური მითქვამს! - საჭურისს
რჩევა ჭკუაში დაუჯდა,
მეორე დღისით ურჯულოთ
ჯარი ადგა, გზას გაუდგა....

***

დღემუდამ იმასა ვცდილობ
საქმე არ მქონდეს შართანა,
ჩემზე თქვან : - უკეთესი ხარ
ვიდრე იყავი შარშანა.

***

ყველა მოძრავი არსება
ხმელეთზე, ცაში, წყალში,
ავი, დაუნდო, ცბიერი
ადამის ძეა მთაში.

***

იუბნე მშვიდად.
გონით გათვალე.
ნათქვამში ჭექდეს
მწარე სიმართლე.

***

ლექსის მჭედელის ვალია
გულგასახარი რითმები.
მკითხველის გულში ჩაყაროს
ტკბილი, საამო ფიქრებით.

***

დღეს დავაკვირდი
ჩემს თავს სარკეში
შუბლზე მორცხვად კრთის
ორი ნაღარი,
თმას გადავხედე
და მასაც მკრთალად
ფერი გადაჰკრავს
უკვე ჭაღარის.
ორეულს ვკითხე:

რას ელი ხვალე?
არარა მკითხოთ -
თავი დახარა.
არაფერსაო
მაგრამ ლოდინმა
დამაბერა და
წელში მომხარა.
მე ვიცი „ხვალე“
რომ მომაკითხავს
გვერდით გადამწევს
მაცქერალს მზისა.
ბნელში გამგზავნის
გაღმა მარილზე,
სადაც არვის ჰყავს
მეგზური გზისა.

12 აგვისტო 1972

სიმართლეს, სიმართლეს გაუმარჯოს!

ხელში კალმის აღებისთანავე უფალს შეევედრე:- სიმართლის სათქმელად გამსარჯე და მათქმევინე -მეთქი ბოლომდე.

მე, დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მწერლები და პოეტები მხოლოდ სიმართლეს და სინამდვილეს უდებენ სარჩულ-საფუძვლად თავიანთ ნაწარმოებებს, მაგრამ... თურმე ძალიან, ძალიან ვცდებოდი...

როცა წავიკითხე ერის საამაყო და უსაყვარლესი ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათქვამი“, რაც, ჩემდა სამწუხაროდ, მანამდე წაკითხული არ მქონდა, - გავოგნდი და ძალიან,

ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი. პოემა მთლიანად ტყუილია.

მეფის დამახილზე იკრიბება ლაშქარი და საომრად მიდის. ღრმა ღელეში გასული მთის წვერზე შეამჩნევს მეფეს თავისი ამალით. ვაჟას ლაშქრის მონაწილენი აჰყავს ერეკლესთან და ლაშქარს ასეთ მიმართვას აკეთებინებს:

ფშაველ-ხევსურნი
მოხევე -გუდამაყრელნი:
შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენი ერთგულნი ქართველნი“.

ვაჟა საერთოდ არ ამბობს სიტყვას მთიულებზე. რატომ? მთიულეთის გულში, ფასანაურში მცხოვრებთა უმრავლესობამ იცის, რომ ფასანაურელებმა ვაჟა გვარიანად გალახეს. რატომ? - ვაჟას სახელი მისმა თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ. და იცოდნენ ფასანაურშიც. გადმოცემით, ერთხელ, მათ ვაჟა დაპატიჟეს და იმ დროისათვის კარგი პურ-მარილი გაუშალეს. კარგად შეზარხოშებულმა ერთ-ერთმა მთიულმა მიმართა ვაჟას: - შენ მთელ საქართველოს უყვარხარ. ჩვენც, მთიულებსაც, მათზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ გვიყვარხარ და მთიულებსა და ჩვენს კუთხეზე არას ამბობ; იქნება ჩვენზეც დაწერო რამე? გადმოცემით, ვაჟამ ხუმრობით თუ ნამდვილად, ასე უთხრაო მთიულებს: - მომეცით ამდენი მსხვილფეხა და წვრილფეხა(ძროხა, ხარი, ცხვარი) და თქვენზეც დავწერო.

სასმელისაგან, და ისედაც, ფხუკიან მთიულებს მეტიც არ უნდოდათ. როგორ თუ შენ ქრთამს გვთხოვო? და ... ვაჟა კარგა გვარიანად მიბეგვეს.

მთიულეთში შემორჩენილია ძველთა ნათქვამიც: „შეუცდომელი სამარის კარს არ მივაო“ . იქნებ...

დიახ, ყველა ვცოდავთ, მაგრამ ვინ რაში და როგორ? - ესაა საკითხავი. დავუშვათ, რომ ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“, სიმართლეა. იბადება ლოგიკური კითხვა: ოტებულ ერეკლეს მადევარ ლაშქარს ჟინვანთან ვინ გადაუდგა წინ?

ვაჟა პოემაში რომ არ ახსენებს, - მთიულებს, - ისინი? არა და არა. აი, სწორედ აქ დახვდა ფშაველ-ხევსურთა სამას კაციანი ლაშქარი ორას შამშადილელ მუსულმან მებრძოლთან ერთად ერეკლეს ყმად ნაფიც ალი სულთანის მეთაურობით, რომლებმაც გაუგონარი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით შეუტიეს ქალბალი ხანის ოთხი ათასიან შენაერთს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ქალბალი ხანმა სიკვდილს გადარჩენილ ორასიოდე მებრძოლით ძლივს გაასწრო და მოკურცხლა თბილისისკენ. სიკვდილსგაქცეული ლაჩრები თავდახრით, მუხლზე მხოხვები, კისერზე ხმალჩამოკიდებულნი ეახლნენ საჭურის აღა მაჰმად ხანს და მდაბლად მოახსენეს ყოველივე. ქალბალი ხანმა ისიც აუწყა, რომ ერეკლეს დუშეთში დიდი ლაშქარი მოუგროვებია და რუსთა ჯარს ელოდება ჩვენზე თავდასასხმელადო.

მანამდე კი იყო ავადსახსენებელი, სადაც 1795 წლის 11 სექტემბერს მთიულეთ-გუგამაყრელ და მოხევეთა 300 კაციანი შენაერთი გაუგონარი სიმამაცითა და თავგანწირვით შეება ურჯულოთა უზარმაზარ ლაშქარს. მტრის უმრავლესობამ და ძალამ თავისი გაიტანა, სამასივე არაგველი სამუდამოდ დარჩა კრწანისის ველზე. ერეკლე დამარცხდა.

მე, პაპა გარდამეცვალა 1948 წელს, როცა ვიყავი 15 წლის და კარგად მახსოვს მისი მონათხრობი: ქალაქის(ჩემი პაპა თბილისს ყოველთვის ქალაქად მოიხსენებდა, მე კი ბავშვს იმდენი ცოდნა არ მქონდა, მეკითხა - თბილისს რატომ არ ამბობ-მეთქი?)ბოლოში დიდი მინდორია თურმე და „კრწანისი“ ჰქვიანო. იქ თათრებთან ერეკლეს უომნია და ამირთიდან(„ამირთა“ ჩემი სოფლის ძველი სახელია) შვიდი წასული ვაჟკაციდან ყველანი დაღუპულანო. იგი მათ

სახელებსაც ასახელებდა და მე დღემდე მახსოვს ორის გარდა: - ნასყიდა, სამუკა, ფიდო, თედო, გიგო.

აღდგომის მეორე დღეს, მთაში არსებული წესის მიხედვით, დღემდე მივდივართ საგვარეულო სასაფლაოზე და საფალავებთან ვიგონებთ გარდაცვლილებს. თითოეული ოჯახი თავისი მიცვალებულებისთვის სუფრას მინდორზე შლის და ბიძაშვილებს და ყველას თხოვს მიცვალებულებისთვის შესანდობარის თქმას. ყველა სუფრაზე იხსენებენ შინმოუსვლელთ, 1941 – 1945 წლებში დაღუპულ 19 ვაჯკაცს და მამულისთვის თავდადებულებს კრწანისში თუ სხვაგან. ეს წესად დამკვიდრდა ამირიძეთა გვარში და იარსებებს მანამდე, სანამ სოფელი იარსებებს.

სამშობლომ უკვდავსაყოფად, კრწანისში დაღუპულთ (არაგველებს) დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაუდგა ძეგლი.

სამწუხაროდ, ძეგლის სამხრეთით, გარკვეულ მანძილზე „რუსეთუმე“ ქართველებმა ძეგლი დაუდგეს ყიზლარში დაბადებულ, გარუსებულ, გენერალს პეტრე ბაგრატიონს, რომელსაც საქართველოსთვის საერთოდ არაფერი გაუკეთებია გარდა რამდენიმე მუქარის შემონათვალისა. სიცოცხლე რუსეთს შესწირა და ჩემი აზრით, მისი ძეგლი კრწანისში არ უნდა იდგეს. იქნებ რუსებს ვაჩუქოთ, რომ ბოროდინოში მის აფეთქებულ ნასაფლავარზე დადგან.

აწ განსვენებული პოეტი შოთა ნიშნიანიძე ლექსში „სერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან „კიდევაც დაიზრდებიან“(ძეგლი აღმართულია ქ. მარნეულის შესასვლელთან და საამყოა ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის)ამბობს: „ყივის თუ არა ქართული სისხლი ისევ სოლომონ კითხულობს ბოღმით, პასუხად დინჯი

ხორხოცი ისმის ჯუბა-ჯვრიანი სამასი მოყმის“. --ჯვრებიანი ჯუბა ხევსურების საკუთრებაა და მათ ამაში ვერავინ შეეცილება საქართველოში. ლექსის ავტორი ცდება და ცოცხალი რომ იყოს, ასეთ კითხვას დავუსვამდი: „კრწანისის ომში დაღუპულ სამას არაგველს რომ ჯვრიანი ჯუბები ჩააცვით და ხევსურებად მოიხსენიეთ, საფუძველი გქონდათ-მეთქი? ან თავის მოსაზრებას (დამასაბუთებელს) გამანდობდა, ან ბატონ მუხრან მაჭავარიანივით მიპასუხებდა, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

იმავე წიგნის მე-18 გვერდზე დაბეჭდილია

ხევსური
სამასი არაგველის ხსოვნას

„და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა
ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართაგან“.
აქ ყველაფერი გასაგებადაა ნათქვამი. ამ ლექსის სათაურშივე ამბობს ავტორი, რომ სამასი არაგველი ხევსურია, რაც ტყუილია და სიმართლესთან არაფერი აკავშირებს.

ბატონი ლევან სანიკიძე წიგნში „სამას-სამასი“ 125-ე გვერდზე წერს: „ერეკლემ მცირე ხნით ცხენი შეაყენა თავისი ვაჟიშვილის ვახტანგის გუნდთან. აქ სულ მთიელები იდგნენ. მათ შორის იყო სამასი თუში და ფშავ-ხევსური. სამასი არაგველი გლეხი. წინ შვიდი ძმად შეფიცული ვაჟკაცი იდგა მკლავი-მკლავგადაჭდობილი.“ გასაოცარი ტყუილია: თუში და არაგველი გლეხი??? ვის შეუძლია ამ ტყუილის გამართლება?
„..სარწმუნოა, რომ სამასივე სათითაოდ მკერდში ჩაიკრა და ყოველ მათგანს მტერთან საომრად გადადგმული ყოველი ნაბიჯი მამაშვილურად დაულოცა. სხვა არა იყოს, იმ წინა შვიდეულ ძმადნაფიცართა გადახვევას მაინც მოასწრებდა“

(ეს მკითხველმა განსაჯოს, რა ვარაუდებით საუბრობს ავტორი და საკუთარ თავს ამტყუვნებს თავადვე). ავტორმა თუშები და ხევსურები მათთან ერთად აომა. ეს სიცრუეა. თუშები არაგველების გვერდით? შემდეგ ავტორი აგრძელებს: ჟამად შვიდი საათი იქნებოდა, როცა სოღანლუღის ვიწროებში ერთურთს შეებნენ სპარსთა და ქართველთა მეწინავე ძალები. ვახტანგ ბატონიშვილმა იშიშვლა ხმალი და დასხლიტა ცხენი. გველისპირულები გაიარეს არაგველებმა. შვიდი ძმადნაფიცი დაწინაურდა არაგველთაგან და პირველნი მიწვდნენ ირანელთა დროშებს. ლომის ღერბიანი დროშები კბილებით დაფხრიწეს. ზავთი და ლაზათი შეემატა არაგველთა საომარ ყივილს. ჩეხდნენ ქართველები, მაგრამ თავადაც იჩეხებოდნენ. ... სამასი არაგველიც აღარ იყო სამასი.

კატასტროფის ჩარხი ელვის სისწრაფით დატრიალდა. იმერთა მეფემ, მეფე ერეკლეს შვილიშვილმა და წერეთელმა იმერთა მეომრები საბრძოლო მოედნიდან გაიყვანეს და იმერეთისკენ გაქუსლეს. სიმართლეს ვამბობ, ეს ჩემი აზრით იყო ქვეყნისა და მეფის გაუგონარი ღალატი, რაც ერეკლეს არც გაუგია. ერეკლე საკუთარმა მეომრებმა იძულებით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან და საარაგვოსკენ აიღეს გეზი. „უკანასკნელნი არაგველნი მათგანვე დაჩეხილ მტრის გვამთა გროვაზე ესვენნენ შორიდან ნატყორცნით მკერდშელეწილები“.

კრწანისის ომი დამთავრდა. მტერი ზეიმობდა. იწვა15000 სპარსელ-თურქმანი და 3000 ქართველი. აქედან 300 არაგველი. სამასი წმინდა ღვთაებრივი გმირი“.

2010 წლის მარტის თვის დასაწყისში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში(მაშინ იქ ვმუშაობდი) შემოიტანეს ახლად გამოცემული წიგნები და ნულოვან სართულზე მაგიდებზე დაალაგეს გასაყიდად. მე წიგნების მოყვარული ვარ და ყურადღებით გადავათვალიერე. ბოლოს

იდო ბ-ნ მუხრან მაჭავარიანის წიგნი. სარჩევიდან შევიტყვე, რომ ჩემთვის უცნობი ლექსი იყო დაბეჭდილი. ლექსს ერქვა „რუსობანა“.

იქვე წავიკითხე ლექსი და გამაოცა ორმა პწკარმა:

„ის იყო მკვდრეთით დგებოდა
გმირი ხევსური სამასი...“

აქ ბუნებრივად დამებადა კითხვა: - რატომ ჰგონიათ წარმოშობით დასავლეთ საქართველოელ პოეტებსა და მწერლებს რომ კრწანისში დაღუპულ მოხევეთა, გუდამაყრელთა და მთიულთა სამასკაციანი ლაშქარი ხევსურები არიან?

როგორც იქნა, ბ-ნ მუხრანის ტელეფონის ნომერს მივაგენი და დავურეკე. ჩემდა გასახარად, თავად ბ-ნ მუხრანი შემხვდა ტელეფონზე. მე მას თავმდაბლად მივესალმე, პატიება ვთხოვე რომ შევაწუხე მის ასაკთან ახლოს მყოფმა წარმოშობით მთიულმა კაცმა, მისი ლექსების მოყვარულმა, და ზეპირად ვუთხარი ჩემთვის გულში ჩამწვდომი სტროფები... ბოლოს კი იმ ლექსის შესახებ შევეკითხე, რომელმაც მოსვენება დამაკარგვინა: - ბ-ნო მუხრან, თქვენს ახლად გამოცემულ კრებულში დაბეჭდილია ლექსი „რუსობანა“, სადაც ამბობთ:

იყო მკვდრეთით დგებოდა
გმირი ხევსური სამასი...“

რა გქონდათ საფუძვლად და საყრდენად როცა ამ სიტყვებს წერდით? რითი ამტკიცებთ, კრწანისის ომში დაღუპული არაგველები რომ ხევსურები იყვნენ? ... და პასუხს დაველოდე. მისი დუმილი ალბათ სამასი(შეიძლება მეტიც!) წუთი გაგრძელდა და მაფიქრებინა, ყურმილი ხომ არ დამიკიდა-მეთქი... როცა - ზუსტად ამ სიტყვებით მიპასუხა: (ხატზე დავიფიცებ, რომ ეს ასე იყო).

„-იცით, მოარულად ასეა ნათქვამი“...

მე: -ბატონო მუხრან, თქვენ რიგითი პიროვნება არ ბრძანდებით. თქვენი განათლებით, ინტელექტით და

თქვენი პოეზიით ძალიან მაღალი ხართ და ... მოარული ნათქვამებისა გჯერათ?
კრწანისის ომში ხევსურები მხოლოდ პირად მცველებად ახლდნენ მეფე ერეკლეს. ხევსურებმა და ფშაველებმა(იქაც სამას კაციანმა გუნდმა(ისტორიკოსთა ცნობით) და ერეკლეს ყმადნაფიცმა ალი სულთანმა ორასი შამშადილელი მუსულმანი მეომრით გაუგონარი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინეს ჟინვანში და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ოტებული ერეკლეს მადევარი ოთხიათასიანი შენაერთი...
ბ-ნი მუხრანი: - „მაგის გამოსწორება შეიძლება, ეგ ძნელი საქმე არ არის“...

მე დიდი მადლობა მოვახსენე და ერთხელ კიდევ ვთხოვე პატიება რომ შევაწუხე და ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ვუსურვე, მაგრამ... დაპირება დაპირებად დარჩა... ჩემდა სამწუხაროდ, ტელევიზორს ვუყურებდი, როცა ბატონი მუხრანი კათედრაზე იდგა და დარბაზს მიმართავდა, სადაც მოულოდნელად ჩაიკეცა... ფეხზე წამოვდექი და უფლის იმ ხატისკენ გავიხედე, სახლში კედელზე რომ მიკიდია: - ღმერთო გადაარჩინე, ღმერთო გევედრები... მაგრამ, ამაოდ... ბატონი მუხრანი გარდაიცვალა. ზუსტად მახდოვს: 2010წლის 17 მაისი.
ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს სამშობლოს საამაყო და ღირსეული პოეტი შვილის სული.

არ შეიშლება გვერდი ავუარო აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკოს პროფესორს, აწ განსვენებულ იოსებ(სოსო) გაფრინდაშვილს, რომელიც თავის დროზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მეც მასწავლიდა ფიზიკას. კრებულში „ჩემი ჰობი პოეზიაა“ გაოქვეყნებულ პოემაში „ სამასი - I – II - III “ - ში წერს: „მთა მუდამ იყო სამშობლოს გმირულ დამცველთა ფესვიო, თვის სიტყვას იტყვის სამასი გუდამაყრელი მწყემსიო“ .

ბ-ნ იოსებს(მაშინ ცოცხალი იყო, ოღონდ სმენის პრობლემა ჰქონდა). დავუკავშირდი ტელეფონზე და შევეკითხე: სამასივე არაგველი გუდამაყრელებად რომ მონათლეთ, რაშია-მეთქი საქმე? „ისტორიკოსების დაწერილი წიგნებით ვიხელმძღვანელეო“ - ასეთი პასუხი გამცა. მიჭირს თქმა, მაგრამ, აწ განსვენებული სოსო არაა მართალი, რომ სამასი არაგველი ყველა გუდამაყრელებად მოიხსენია.

ესა სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

სამამულო ომის ვეტერანის ნაამბობი

უბატონო მთიულეთის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ამირთკარში, რომელსაც ამჟამად ამირნი ჰქვია, 1925 წლის 10 მაისს ფილიპე ამირიძის ოჯახში პირველი შვილი დაიბადა. რომელსაც სახელად ვანო დაარქვეს.

ვანომ მეზობელი სოფლის ჩირიკის შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა. მისი მამა კოლმეურნეობის ცხვარს მწყემსავდა, ზაფხულში კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ხოლო ზამთარში დაღესტნის ასსრ-ის ნოღაის ველებზე - ყიზლარში. 1943 წელს, ვანო მე-18 წელში გადამდგარი კომუნისტებმა დაიჭირეს, „მოხალისედ“ მონათლეს და სამხედრო სამსახურში გაამწესეს. ვანომ საბჭოთა ჯარებთან ერთად ბრძოლით განვლო პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია და ბერლინამდე ჩავიდა. განვლილ გზაზე ოთხჯერ ღმერთის შეწევნით გადაურჩა ნაღდ სიკვდილს. სამჯერ ბომბის აფეთქებულ მიწადაყრილი იხსნეს თანამებრძოლებმა... ომი დამთავრდა, მაგრამ... ვანოს ასაკის თაობის ყოფილი მეომრები გამოიყენეს დანგრეული ქვეყნის აღდგენით სამუშაოებზე და 1949წელს დემობილიზაციით დაუბრუნეს მშობლიურ სოფელს.

რა უნდა ექნა ვანოს, მას ხომ მხოლოდ შვიდი კლასი ჰქონდა დამთავრებული? - მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. თავმჯდომარის მოადგილედაც აირჩიეს, მაგრამ.. ვანომ კოლმეურნეობა მიატოვა და თბილისში ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში დაიწყო სწავლა. სამი წლის შემდეგ დაამთავრა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ახლად გახსნილ ფიზკულტურის ინსტიტუტში. 1957 წელს დაამთავრა „სამკურნალო ფიზკულტურის“ სპეციალობით და იმავე წელს ქ. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტში დაიწყო მუშაობა, სადაც დაუღალავი შრომით მალე მიაღწია წარმატებას და საკმაოდ მაღალი ავტორიტეტიც დაიმსახურა. ჰქონდა კერძო პრაქტიკაც და ხშირადაც იწვევდნენ მთავრობის ხელმძღვანელებთან სამკურნალოდ...

კურორტში მან პენსიაზე გასვლამდე იმუშავა და დღესაც კი მას ბინაზე აკითხავენ ჯანმრთელობის მაძიებლები, მაგრამ ოთხმოცდამეათე წელში გადამდგარი შრომით დაღლილ-დაქანცული ვეტერანი ის აღარ არის, რაც იყო. მხედველობა დაქვეითებულს აღარც ფიზიკური მდგომარეობა უწყობს ხელს, რომ ძველებურად იშრომოს... მას ნუცუბიძის ქუჩაზე#1-ში მივაკითხეთ. ომის დროინდელი ეპიზოდების მოყოლის შემდეგ თავისი ბავშვობის დროინდელი შემთხვევის შესახებაც გულწრფელად ისაუბრა:

„1937 თუ 1938 წელი იყო, დედაჩემმა კალათში კვერცხები ჩააწყო და პაპამ მითხრა(მამა მაშინ ცხვარში იყო, ყიზლარში): ეს კვერცხები არ დაგემტვრეს, წადი ფასანაურში, იქ ფოსტის შენობასთან ვიღაცას კვირა-დღისით ქალაქიდან(თბილისიდან) ამოაქვს მანქანის კამერები და კვერცხებზე ცვლის. აქ, ამ კალათში იმდენი კვერცხია, რამდენიც ერთ კამერას უნდა.

აპრილის ბოლო იყო. კალათით ე.წ. შარაგზაზე ჩავედი და იმავე დროს ფასანაურის მხრიდან სამი შავი „ემადინი“

მოვიდა. ჩვენი ხევის მარცხენა მხარეს გაჩერდნენ. ერთი მანქანიდან სათვალებიანი კაცი გადმოვიდა და ჩემსკენ წამოვიდა. მე, რატომღაც, შემეშინდა, კვერცხები არ წამართოს-მეთქი, მაგრამ ის კაცი მომიახლოვდა და მითხრა: გამარჯობა ყმაწვილო. მე ჩვენებურად ვუპასუხე: - გაგიმარჯოს. მას გაეღიმა და მკითხა: - რა გვარი ხარ? - ამირიძე. ვუპასუხე. - მამაშენი სახლშია? - არა, კოლექტივის ცხორშია, ყიზლარში. კალათში რა გაქვს? - კვერცხები. ფასანაურში მიმაქვს, „მაშინის“ კამერაზე უნდა გავცვალო. კამერა რად გინდა? პაპამ რეზინის ქალმები უნდა გამიკეთოს. ტყავის ქალმები მალე ცვდება და იხევა და - ფეხებზე დავიხედე. იმ კაცმა ღიმილით ამხედ-დამხედა და მანქანიდან ვიღაცას დაუძახა. ის კაცი სირბილით მოვიდა ჩვენთან, რომელსაც სათვალებიანმა უთხრა: -ერთი ცალი „ზაპასნოი“ კამერა აიღე და ამ პატარა ბიჭს მიეცი. მე კი ამ სიტყვებით მომმართა: ეგ კვერცხები უკან წაიღე. დედამ ერბოკვერცხი გაგიკეთოს და შენ ჭამეო. მიბრუნდა და მანქანებისკენ წავიდა. იმ მეორე კაცმა სულ ახალი კამერა მოიტანა და თქვა: „სახლში წაიღე, ეს კამერა ლავრენტი პავლოვიჩმა გაჩუქა“. მაშინ მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე გახარებულმა და სახლისკენ თითქმის სირბილით ვიარე. გზად სიტყვებს: „ლავრენტი პავლოვიჩი“, „ლავრენტი პავლოვიჩი“ - ვიმეორებდი. სახლში ასულმა ყველაფერი მოვუყევი პაპას და დედაჩემს.

გვიან, ძალიან გვიან გავაცნობიერე, ვინ იყო ლავრენტი პავლოვიჩი. - და მაინც - თურმე ის ასეთი კეთილიც კი იყო „იმ“ დროს...“.

ასე დაამთავრა თხრობა ვეტერანმა.

რწმენა
(კომუნისტური)

მე, როგორც დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, დავბადებულვარ ღამით. მაშინ თქვესო, შვილო, რომ ხვალ პირველი მაისი თენდებაო... დედა არ აკონკრეტებდა, ღამის 12 საათამდე დავიბადე, თუ 12-ის შემდეგ. ... თუმცა, იმ დროს ჩემს მიყრუებულ სოფელში ზოგმა არც იცოდა საათი რა იყო. როგორც ყველა ბავშვს, მეც ბავშვობიდან შემომრჩა ჩემი აუხდენელი ოცნება. ოცნება კი იყო: ძალიან მინდოდა ჩემი სოფლის მოპირდაპირე სოფლის არაგვის გაღმა კობაიძეთა მთაზე ავსულიყავი. ცაზე გადმოვსულიყავი და ჩემი სოფელი კარგად დამეთვალიერებინა...

1940 წელს სოფელ ჩირიკის რვაწლიან სკოლაში მიმიყვანეს. სკოლა ორსართულიანი იყო. პირველი კლასიდან მე-4 კლასის ჩათვლით ვსწავლობდით დილით. ხოლო შუა დღის მერე სწავლობდნენ მე-5 კლასიდან მე-8 კლასის ჩათვლით.

ე.წ. „სამამულო“ ომმა ერთი წელი დამაკარგვინა და სკოლა 1949 წელს დავამთავრე. იმავე წელს სწავლა ფასანაურის საშუალო სკოლაში გავაგრძელე და მეთერთმეტე კლასის დამთავრებისას ოჯახში განვაცხადე, რომ სწავლის გაგრძელება მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში. კეთილის მსურველთა და ზოგიერთი მასწავლებლის რჩევა გავითვალისწინე და გადავწყვიტე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამებარებინა მისაღები გამოცდები. საჭირო საბუთების მოგროვება-მოწესრიგებაში „სამამულო“ ომის მონაწილე და ზესამსახურიდან დაბრუნებული ძმა დამეხმარა, რომელიც თბილისში ე.წ. ფიზკულტურის ტექნიკუმში სწავლობდა. ძმამ საბუთები გადმომცა და მითხრა: ფასანაურის სასოფლო საბჭოდან დაბადების მოწმობა აიღე, ამ საბუთებით ჩადი დუშეთში და პასპორტს მოგცემენო. მე ძმის მითითება შვასრულე და დუშეთში

ჩავედი. მივედი იქ, სადაც პასპორტი უნდა ამეღო. სამი თუ ოთხი პიროვნების შემდეგ მომიწია რიგმა პასპორტისტ ქალბატონთან.(როგორც მახსოვს, მას ნათელა ერქვა, გვარად ბიძინაშვილი გახლდათ).

ამ ქალბატონმა საბუთები გადაათვალიერა და სასოფლო საბჭოდან აღებულ ცნობაზე ბრძანა: - „ეს რა ცნობაა? პირველ მაისს როგორ დაიბადებოდიო???“ და ე.წ. „ფორტოჩკიდან“ რომ ვუყურებდი, - ერთიანს უკან ექვსიანი მიუწერა და დაბადების დღე 1 მაისი - 16 მაისად აქცია და 16 დღით გამაახალგაზრდავა.

ჯერ ხომ პაპაჩემის საუბრებიდან კომუნისტებზე უარყოფითი განწყობა მქონდა; ამ ქალბატონმა მთლად შემაძულა კომუნისტები... ასეა დღემდე. არასოდეს გადამიხდია არც დამახინჯებული და არც ნამდვილი ჩემი დაბადების დღე. კომუნისტურმა რწმენამ ეს დაღი დამასვა სამუდამოდ. გვიან მივხვდი, რომ ის ქალბატონი მოწამლული იყო კომუნისტური შხამით, ასე სწამდა, ვერაფერს იტყვი.

ღმერთმა შეუნდოს ქ-ნ ნ. ბიძინაშვილს.

მეც მიპატიებია.